619/2
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0130—1624

დროშა

ფასი
№ 3 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი სამეული

ფოტოეტიუდი ბონდო დვალიშვილისა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1988 წლის 17-18 თებერვალს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. პლენუმმა განიხილა საკითხი „საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები მისი განხორციელების საქმეში". ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა.

სხდომაზე მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ი. სიტნიკოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ფ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. მ. ერშოვა — ქ. პერმის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის საწარმოო გაერთიანების გამმართველი, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ტ. საიკინი — მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ვ. ა. კოპტიუგი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, კ. მ. გაგიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კ. გ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოდინი — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, ვ. ს. შევჩენკო — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. გ. კოლესნიკოვი — სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრი, გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ი. ფ. სოლოვიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. ვლასოვი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. ლოგუნოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ი. მარჩუკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ვ. ი. ზორკალცევი — სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. დ. ლიზიჩევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ე. მ. ჩებარინი — რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კ. ს. დემირჩიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხ. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ჯ.ი. გორბოვიკოვა — სკკპ კრასნოდარის მხარის კურგანსკის რაიკომის პირველი მდივანი, ა. კ. დუმაჩოვი — სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განსახილველ საკითხზე მიიღო ვრცელი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის გამო მიიღო დადგენილება.

პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა აირჩია ამხ. ი. დ. მასლიუკოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. პ. რაზუმოვსკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ო. დ. ბაკლანოვი.

პლენუმმა ამხ. ბ. ნ. ელცინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ვ. ი. გოლდინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე, ნ. ვ. გელეარტი—ყაზახეთის სსრ ამანგელდის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, ვ. ი. მირონენკო — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (615), მარტი, 1988

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერში:

ოთარ ჭინჭლაძე. გარდაქმნის პედაგოგიკა.

ჯემალ მეხრიშვილი. ოქროს მერკურის კავალერი.

ყველამ გულში ჩაიხედოს!..

სიმონ გოლქვაძე. ასი წლის შემდეგ!

გივი ჭელიძე. კაცი თავის ადგილზე.

რემ დავიდოვი. ქართველი მუშაკეტერი.

ლამარა თელია. თბილისში ერთი სახლია...

შალვა კინწურაშვილი. ლაზარეს უჯრა (დასაწყისი).

მარინა ცვეტაევა. ნატალია გონჩაროვა.

თამარ გომართელი. ეკრანის მშვენება.

ნუგზარ გარდაველიძე. გინესის წიგნი.

ლევან დოლიძე. ზღვის რაინდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ გერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაგერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

ფოთის ქუჩებში გაელისას სრულებით შემთხვევითი, სამეურნეო საქმეში ჩაუხედავი კაციც რომ შეიჩერთო და მოულოდნელად ჰკითხოთ, რომელია ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე საწარმო, მოჭრილსა და ყინულ პასუხს უმალ მიიღებთ:

— როგორ თუ რომელი — გემთსარემონტო-გემთსაშენებელი ქარხანა!

ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო-გემთსაშენებელი ქარხნისთვის პატივი და აღიარება უკმად არავის უბოძებია — იგი მისმა ორიათასკაციანმა კოლექტივმა დაუღალავი შრომით მოიპოვა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შარშანდელ დეკემბრის პლენუმზე სხვა მოწინავეთა შორის დასახელეს ფოთის ეს საწარმოც, რომელსაც ყველა პირობა გაუჩნდა იმისათვის, რომ წელს უყოყმანოდ გადასულიყო სრულ საპეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების სისტემაზე.



„ოქროს მეჩეჯურის“

ქარხანამ, რომელიც ძირითადად გაერთიანება „საქთვეშმრეწის“ საოკეანო გემებს არემონტებს და სპეციალურად განთქმულ, საექსპორტო წყალქვეშაფრთიან საზღვაო სამგზავრო გემებს ამუშავებს, შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის გეგმა.

1961 წელს ქარხანამ მსოფლიოში პირველად ათივეა წყალქვეშაფრთიანი საზღვაო სამგზავრო გემის „კოსტის“ წარმოება, ხოლო 1963 წლიდან დაიწყო მისი ექსპორტი. ამჟამად აქ უშვებენ ანალოგიური და გაუჭირფსებული გემის მეორე თაობას — „ალოსიდას“, რომელიც შეიძინა მსოფლიოს ექვსქვეყანამ. მათ შორის იაპონიამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ინგლისმა, ესპანეთმა.

საწარმო სისტემატურად იმარჯვებს როგორც საქალაქო და რესპუბლიკურ, ისე საკავშირო დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებებში. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის „ოქროს მეჩეჯურის“ საერთაშორისო ასოციაციის 1980 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო-გემთსაშენებელი ქარხანა „ოქროს მეჩეჯურის“ საერთაშორისო პრიზით დაჯილდოდდა.

ქარხნის სტაპილურობას ბევრი რამ უწყობს ხელს. მაგრამ, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, წარმატებას მაინც ხუთი ძირითადი მომენტი განაპირობებს.

პირველი ის არის, რომ ამ მრავალრიცხოვან შრომით კოლექტივს პარტიის ნაკლალეო კომიტეტი შემოქმედებითად ხელმძღვანელობს. იგი საწარმოს ეკონომიკურ-ორგანიზაციულ, ტექნიკურ-ეკონომიკურ, ფინანსურ-ეკონომიკურ, ადამიანურ-ეკონომიკურ, ინფორმაციულ-ანალიზურ, ინფორმაციულ-ანალიზურ, ინფორმაციულ-ანალიზ

გარდაქმნის ჰედაგოგიკა

ოთარ ქინწლაძე

ეხლა ყველანი ვსწავლობთ.
ყოველ შემთხვევაში უნდა ვსწავლობდეთ.
ვსწავლობდეთ ცხოვრების დემოკრატიისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში.
ცხოვრება კი მაშინ არის, როცა ადამიანი აზროვნებს, შრომობს და პასუხისმგებელია თავის ნააზრევზე, ნამუშევარსა და საერთოდ ყველფერზე, რაც მოიმქმედა.
აზროვნება, შრომა და პასუხისმგებლობა!
ჩვენი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, განახლებისა და გაჯანსაღების ამჟამინდელი წინა ალაზზე სწორედ ეს სამი უმნიშვნელოვანესი ადამიანური თვისება წარმოიჩინა.
ჩვენ ყველანი გარდაქმნის გამოცდას ვაბარებთ.
ვაბარებთ სამშუალ ადგილზე, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, შინ და გარეთ.
ვაბარებთ საკუთარ თავს, შრომით კოლექტივს, პარტიულ ორგანიზაციას, ერსა და ქვეყანას.
ვაბარებთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებით.
ამიტომ დღენიადაგ უნდა ვსწავლობდეთ, რამეთუ სწავლის გარეშე ვამოცდის ჩაბარება არ შედგება.
გარდაქმნის პირველი ეტაპი ცხოვრების განახლების იდეიურ-თეორიული და ორგანიზაციული კონცეფციის გამომუშავებით, დაჩქარებული გახვითარების პლატფორმის შექმნით აღინიშნა და ისაა ხაზი კიდეც უკვე საყოველთაოდ ცნობილ საპროგრამო ხასიათის უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტებში.
საჭიროა ყოველივე ამის აღქმა, გაგება-გაარკვევა და საფუძვლიანი შესწავლა.
გარდაქმნის პლატფორმის იდეურ-თეორიული საფუძვლების ცოდნაა საჭირო.
ადამიანის ფსიქოლოგიის გარდაქმნის, ახლებური მიდგომის უნარის გამომუშავების, არსებულარტული გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნის და, მაშასადამე, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების, ინიციატივიანი და აზრიანი, ენერგიული მუშაკების აღზრდისა და ხელახალი აღზრდის ამოცანები, განუზომლად აფართოებენ ადმზრდელობითი მუშაობის ასპარეზს, რაც კიდეც უფრო მეტ გავლენას ახდენს გარდაქმნის პროცესის მსვლელობაზე.
აღზრდა — პედაგოგიის სფეროს განეკუთვნება.
პედაგოგია, როგორც თეორია აღზრდის შესახებ, თავდაპირველად აღმოცენდა და ვითარდებოდა მეცნიერებად ბავშვის, მზრარდი თაობის აღზრდის შესახებ. მაგრამ შემდგომში, იგი თანდათან გასცდა ბავშვობისა და მოზარდობის ასაკით შემოფარგლულ საზღვრებს და საერთოდ ადამიანთა ურთიერთობის პედაგოგიზაციის აუცილებელი პირობა და საშუალება გახდა. საბჭოთა პედაგოგია მოიცვეს აგრეთვე მოზარდლთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, საადაგეცია-პროპაგანდისტული მუშაობის პრობლემებს და ვითარდება როგორც ახალი ადამიანის აღზრდის თეორია.
გარდაქმნა „ახალი ტიპის“ ადამიანის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ უნდა ჩადგეს საბჭოთა პედაგოგია გარდაქმნის ინტერესების სამსახურში და შესარულოს გარდაქმნის პროცესის ამაჩქარებლის როლი.
გარდაქმნის პედაგოგიკა.
იგი არა მარტო აღზრდას, არამედ აგრეთვე, რაც კიდეც უფრო მეტ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ხელახალი აღზრდის თუსულ პრობლემებსაც მოიცავს და გარდაქმნის პროცესში ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერების ემსახურება.
ამ თვალსაზრისით, გარდაქმნის პედაგოგიკა კიდეც უფრო მეტსა და სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს საკუთარივ პარტიული ცხოვრების გარდაქმნის, მისი განახლებისა და გაჯანსაღების მოაწფიებული ამოცანების გადაწყვეტაში.
პარტიულ მუშაობაში „პედაგოგიის გარკვეული ელემენტი“ ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდეც 1905 წელს შენიშნა და გამოკვეთა. სტატიაში „პოლიტიკისა და პედაგოგიის აღრეკის შესახებ“ იგი აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ მოღაწეობაში მუდამ არის და იქნება პედაგოგიკის გარკვეული ელემენტი.
პარტიულ მუშაობაში „პედაგოგიის გარკვეული ელემენტი“ ვლინდება პედაგოგიური საქმიანობისათვის დამახასიათებელ ისეთ თვისებურებაზე პირდაპირი მინიშნებით, როგორიცაა პედაგოგიური ალღო, პედაგოგიური ტაქტი, პედაგოგიური მიდგომა და ა. შ. აღნიშნულის დამადასტურებელია ლენინური მოთხოვნა, რათა პარტიელ მუშაობაში „ამოფეშუმათო ენაო, მივიდგეთ ადამიანს, მასზე; შეგვეძლოს მათთან დალაპარაკება და საერთო ენის გამონახვა; ვისწავლოთ მათთან დინჯი, მოთმინებითი მუშაობა და სხვა. მომდევნო წლებში ი ი ლენინ კვლავ არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხებს და განიხილავს პარტიულ მუშაობაში პედაგოგიკის გარკვეული ელემენტის მნიშვნელობას. სიტყვაში სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილების გამგეთა მეორე თათბირზე 1919 წლის 24 იანვარს იგი აღნიშნავდა, რომ პარტიულ მუშაობაში ჩვენ ბევრ გამოვიშვეთ ჩვენი ჩვეულები მასებზე ფართო ზემოქმედებისა, მაგრამ ეს ჩვეულები უნდა შევაერთოთ კულტურულ-საგანმანათლებლო, კერძოდ, სასკოლო და განსაკუთრებით სკოლისგარეშე მეთოდებთან. მაგრამ ნათქვამიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია პოლიტიკური ამოცანების პედაგოგიკით შემოფარგვა ან მათი „პედაგოგიის გარკვეული“ ელემენტით“ ამოწურვა. ნაშრომში „პოლიტიკისა და პედაგოგიკის აღრეკის შესახებ“ ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ მცდარია შეხედულება პოლიტიკის ამოცანების პედაგოგიკით ამოწურვის თაობაზე.
პარტიული მუშაობის განკვლილი ათეული წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ, სხვადასხვა დროს მიღებულ პარტიულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა, აგრეთვე პარტიის იდეურ-პოლიტიკური, ორგანიზაციულ და აღმზრდელობით საქმიანობასთან დაკავშირებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა შესაძლებელი გახადეს პარტიულ მუშაობაში „პედაგოგიკის გარკვეული ელემენტის“ შემდგომი ზრდა-განვითარება და მისი კიდეც უფრო გაფართოება. დგგროვილი პრაქტიკული გამოცდილება და მისი თეორიული განზოგადება იძლევა საფუძველს იქნეს, რომ პარტიული მუშაობის პედაგოგიკა ვალიართო, როგორც ერთ-ერთ საბჭოთა პედაგოგიკურ მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი.
ამ თვალსაზრისით, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ახალ ხანას, რომელიც გარდაქმნის, განახლებისა და თვისებრივი სრულყოფის აუცილებლობამ განაპირობა.
— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი:
— გარდაქმნა მუშაკებისაგან მოითხოვს კომპეტენტურობას და დიდ პროფესიონალიზმს. დღეს კაცი ვეღარ გავა ფინს, თუ არა აქვს თანამედროვეს და მრავალმხრივი მოშზადება, ღრმა ცოდნა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის, მართვის, ეკონომიკის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების, ფსიქოლოგიის საკითხებში.
ესე იგი, აგრეთვე ფსიქოლოგიის საკითხებში.
პარტიული საქმე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანებთან მუშაობა, ანუ მოაგარი პარტიის საქმიანობისაში საკუთრივ ადამიანის, მისი სულიერი სამყაროს ცოდნას მოითხოვს.
მაინც რა უნდა ვიცოდეთ პიროვნების ფსიქიკურ თვისებურებათა შესახებ და როგორ გამოვიყენოთ ეს ცოდნა შრომითი კოლექტივის წევრებთან ყოველდღიური ურთიერთობის პროცესში, მათთან პრაქტიკულ მუშაობაში?
კოლექტივის წევრთა შორის ურთიერთობის საკითხი თითოეული მათგანის ქცევის თვისებურების საკითხია. ხასიათი ქცევის სწორედ ამ თვისებურებას განსაზღვრავს და ჩვენ ლებრივად თვეს ოჩენს ადამიანის მოქმედებაში, დამოკიდებულებაში სხვა ადამიანებთან, მოტივებში, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ მის ცხოვრებაში და განპირობებენ ქცევის თვისებურებას.
იტყვიან „მძიმე ხასიათის კაციაო“ ან „სუსტი, უნებისყოფო ხასიათი აქვსო“ და ა. შ.
ხასიათი ეწოდება ადამიანის ისეთ ფსიქიკურ თვისებას, რომელიც წარმოადგენს ნებისყოფის საფუძველს, ასევეა ტემპერამენტი—გრძნობის, ხოლო ინტელექტი (გონება) აზროვნების თვისებურებათა საფუძველი.
ხასიათი ვლინდება ადამიანის ნებისმიერ მოქმედებაში, ესე იგი ისეთ მოქმედებაში, რომელიც წინასწარგანზრახული. მიზანდასახული და გაცნობიერებულია. ხასიათის სიმტკიცესა ან, პირიქით, სისუსტეზე დამოკიდებული, შესწევს თუ არა ადამიანს ნებისმიერი მოქმედების უნარი, ესე იგი აქვს თუ არა ნებისყოფა, განპირობეული დასახული მიზანი, გადალახოს მიზნის მისაღწევად დაბრკოლება, დასძლიოს მომეტებული მოთმოგნელებათა იმპულსები და პირიქით — სუსტი ნებისყოფის გამო არ შეუძლია ყოველივე ამის გაკეთება. სუსტი ხასიათისა და უნებისყოფოა ადამიანი, რომელს მისწრაფება თითქმის ამოწურეულა სმა-ჭამის, და სხვა პირადული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით და პირიქით, მტაცე ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის პიროვნებას მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი აქვს.
ნათქვამიდან ის მოკვარი დასკვნა გამომდინარეობს, რომ მტაცე ხასიათის განსაკითარებლად აუცილებელია ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოვალეობის გრძნობის აღრჩობა. ამის შესაძლებლობის იძლევა ისეთი პირობების შექმნა, როცა კოლექტივის თითოეული წევრი ეჩვევა ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას და ეგოიტეტურ მისწრაფებათა დაძლევას.
მაგრამ კოლექტივი მარტოოდენ ძლიერი და სუსტი ხასიათის, მტაცე ნებისყოფის ან უნებისყოფო ადამიანებისგან როდი შედგება. მათ შორის აღმოჩნდებიან აგრეთვე აუღელვებელი და ცივი, ან, პირიქით, ემოციური, მშფოთვარე ბუნების პირნიც. ისეთები, რომლებსაც ძლიერი ან სუსტი გრძნობები ახასიათებთ. ეს თვისებები ადამიანის ტემპერამენტზეა დამოკიდებული.
ტემპერამენტი ეწოდება ადამიანის იმ ფსიქიკურ თვისებას, რომელიც უმთავრესად პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს.
მიმოვიხილოთ ირგვლივ და დაეკვირდეთ ადამიანთა ქცევას, მათი მოქმედების თავისებურებებს. ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი.
სახვითნეი ხალისიანი და ენერგიული ოპტიმისტია. იგი უშფოთავს, სწრაფად უახლოვდება ადამიანებს და აღვილადაც გამნაზავს ხოლმე მათთან საერთო ენას. ასეთები იოლად ითვისებენ საზოგადოებრივი მუშაობის უნარჩვევებს და აქტიურად ჩაებმებიან კოლექტივის ცხოვრებაში. ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე ადამიანიც აღვილად აღიკზრება ხოლმე, მაგრამ სანგვინიკისაგან განსხვავებით, მას უფრო ხანგრძლივი და ღრმა გრძნობები ახასიათებს. არის სხვა განსხვავებაც: ქოლერიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია უარყოფითი გრძნობებისადმი მიდრეკილება. იგი უკმაყოფილოა, ადამიანებში უფრო აჩჩნევს უარყოფით თვისებებს, ავლენს პესიმისტურ ტენდენციებს, ხშირადაა გაჯავრებული. კოდეკ უფრო დამახასიათებელია მიდრეკილება უარყოფითი გრძნობებისადმი მელანქოლიური ტემპერამენტისათვის. იგი მოდუნებული და უხალისოა, მოძრაობებიც შედარებით ზანტი და ნელი აქვს. ცხოვრებაშიც უფრო ცუდ მხარეს ხედავს. ამიტომაა იგი ნაღვლიანიც. ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანი კი ნაკლებად მოძრაცი და ძმიმე ტიპია. ეს არის შვედი და გულგრილი პიროვნება. მისი გრძნობები ოემოცენდება ნელი და ბვიან, მაგრამ ხანგრძლივად დარჩება. ამავე დროს, ფლეგმატიკისათვის დამახასიათებელია მისწრაფება დადებითი ემოციებისაკენ. ისიც, სანგვინიკის მსგავსად, დადებითს უფრო ხედავს ცხოვრებაშიც და ადამიანებშიც. იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი, არც იოლად აღელდება და მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია. მას აუჩქარებელი, მოფფრებული მოქმედება ახასიათებს. მისი მიმიკა, ჟესტები დინჯი, თავშეკავებული და მაშინაც კი, როცა რაიმეს ძლიერად განიცდის, გარეგნულად მაინც ცივი, გულგრილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.
როგორც დავინახეთ, უკმაყოფილება და პესიმისტური ტენდენციები ქოლერიკული და მელანქოლიური ტიპის ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. ეს გარემოება მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებასაა ფრთხილ, მზრუნველ დამოკიდებულებას მოითხოვს. ასეთი ადამიანების მიმართ უფრო მომმეტნნიც უნდა ვიყოთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უარყოფითი გრძნობებისადმი მიდრეკილება ზოგჯერ გზას უსნნის კომუნისტური მორალის ისეთ ანტიპოდს, როგორიცაა ცილისწამება, ანონიმური წერილების წერა, ლოთობა და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ყოველი კონკრეტული ადამიანი აუცილებლად რეკომენდაციას ან ალებულ ტიპს მიეკუთვნება. უფრო ზმირად, [illegible] ჩვენგანნი ნარევი ტიპისაა რომელიმე მთავარსა [illegible] ლები გადაჰრთ. ასე მაგალითად, ადამიანთა უმრავლესობა ძირითადად სანგვინიკური ტიპისაა, მაგრამ გააჩნია ქოლერიკისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც.
ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია, რადგან პარტიული, საბეურნო და საზოგადოებრივი მუშაობის პრაქტიკაში დიდი -ადგილი ეთმობა კომუნისტის, უპარტიოს, ყველა მშრომელის ქცევას, მოქმედებას, დაკისრებული მოვალეობისადმი დამოკიდებულების საზოგადოებრივ შეფასებას, რომელიც დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც. ერთ შემთხვევაში საქმე ზალხილებასთან გვექნება, ხოლო მეორეში ეი დასკასთან, რასაც ზენ, როგორც ეს ზენ, დარწმუნება უნდა უსწრებდეს. დარწმუნება, ისევე როგორც წახალისება და დასკა, აღზრდის მეთოდია. საბჭოთა პედაგოგია მათ აღზრდის საერთო მეთოდებისაგან ცალკე გამოყოფს და საკანგები მნიშვნელობასაც ანიჭებს.
საბჭოთა პედაგოგიკური კოსეფცია უპარტეს მნიშვნელობას წახალისებას ანიჭებს. წახალისება, როგორც ქცევის სტიმულირების უალრესად ეფექტური მეთოდი, ფართოდ გამოიყენება აღაზრდელობით მუშაობაში. იგი სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებს ადამიანს, უნარგაგს მას საკუთარი ძალების, უნარისა და შესაძლებლობის რწმენას, უღვივებს მისწრაფებას, რათა მიაღწიოს უფრო მეტ წარმატებებს და იწვევს სხვა დადებით ემოციებს, წახალისების ამ ფსიქოლოგიურ მხრეს დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს.
1988 წლის 8 იანვარი. მ. ს. გორბაჩოვი:
— ადამიანები ძალზე გულისმხიერად რეაგირებენ კეთილ დამოკიდებულებაზე, ჩვენი ხალი გულისმხიერად აღიქვამს არა მარტო პატიოსან ვასაპრკელს, არამედ კარგ ატმოსფეროსაც, პატივისმეცემელ დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი, თავისი კეთილსინდისიერი შრომის დაფასებასა და დიდებას.
წახალისება ყოველთვის ხაზგასმა იმისა, რომ ცალკეული პირის ან მოლიანად კოლექტივის მიერ დასახული მიზანი საზოგადოებრივად ღირებულია, ხოლო გზა, რომელიც ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს, აღიარებას იმსახურებს. წახალისების, პედაგოგიური ფუნქცია ის არის, რომ გამოყენო რაც ღირებულია ქცევის მოტივებში და იგი საჯაროდ თვალსაჩინო გავხადოთ.
გარდაქმნის პროცესში ეს გარემოება კიდეც უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც სწორედ ახლა განსაკუთრებით საჭირო. ვეძებდეთ და ძებარ ვეუბრდეთ ყოველივე ახალს — ახალ გამოცდილებას, ახალ მიღწევებს.
ახლა ნიშნავა და ინტელექტის თაობაზე.
მოხდება ხოლმე, როცა კოლექტივის წევრთა შორის ერთბაშად მიიქცევს ყურადღებას ის, ვისაც რაიმე სპეციფიკური სახის მოქმედების ადვილი დაუფლებისა და მისი წარმატებით შესრულების უნარი აქვს. სპეციფიკური ხასიათის ასეთი მოქმედებაა, მაგალითად, გამომგზავლობა, ხატვა, ცეკვა და სხვა. სწორედ ეს არის ნიჭი, ხოლო ინტელექტი, ანუ ზოგადი გონივრება საერთო ინტელექტუალურ დონეს ეკუთვნიხმის.
საგანგებო ყურადღებას იმსახურებს პიროვნების ორგანიზატორული ნიჭი, რაც კადრების მერჩევას, განაწილებისა და აღზრდის პრაქტიკას უკავშირდება. ამავე დროს, ინტელექტის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იდეოლოგიურ მუშაკთა, კერძოდ, პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეში.
პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების გარდაქმნა საკუთრივ განათლების შინაარსის განახლებასთან ერთად, სწავლების და სწავლის თანამედროვე მეთოდების დანერგვასაც ვულისხმობ.
გარდაქმნის პედაგოგიკა გვიკარნახებს, რომ „პროპაგანდისტული მონოლოგი“ ფართო და გულახილი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული დიალოგით შეიცვალოს. თანამედროვე დიდაქტიკის ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების განახლებულ მეთოდიკაში უნდა აისახოს, რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი აზროვნებისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
ჩვენი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის მიმდინარე, მეორე ეტაპზე, როცა გაანახლების იდეურ-თეორიული კონცეფცია მატერიალურ ძალად უნდა ვაქციოთ, პედაგოგიკური ცოდნა აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი არსებითი სრულყოფის მძლავრი ფაქტორი გახდა.

ყველამ გულში ჩაიხედოს!...

კარგი მაგალითი გვჭირდება, კარგი!

რედაქციას ეწვია თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილების აქტივი. დედაქალაქის სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელებმა ზედმიწევნით გულახდილად ისაუბრეს, იკამათეს. წარმოჩნდა პრობლემები, თანატოლთა საერთო საწუხარი, რომელიც წლების მანძილზე იკიდებდა ფეხს და მკვიდრდებოდა ჩვენს ცხოვრებაში. ბრალი კი ამაში მთელ საზოგადოებას, თითოეულ ჩვენგანს მიუძღვის.

...და რაკი მოვალენი ვართ, განსაკუთრებული ყურადღებით, სისათუთითა და მზრუნველობით ვეპყრობოდეთ ჩვენს მომავალ თაობას, სწორედ თითოეულმა ჩვენგანმა, მთელმა საზოგადოებამ თავისად უნდა მიიღოს მათი სატკივრი.

მაია ბერიძე. სიყვარული? ღირს კი ჩვენი საუბარი სიყვარულით დავიწყოთ? მე მაგალითად, არ მჯერა, რომ ახლა არსებობს ჭეშმარიტად მაღალი გრძნობა, არც მგონია, რომ ვინმე შემიყვარდება.

მაია მეტრეველი. წინათ ჩვენი ასაკის ქალიშვილებს უკვე ოჯახები ჰქონდათ, შვილებს ზრდიდნენ. მერე ახალი დრო დადგა და ჩვენი დიდი ბებიები, ბებიები და იქნებ დედებიც მალავდნენ, რომ უყვარდათ. ერიდებოდათ მშობლების, მასწავლებლების, მეგობრებისაც კი... ახლა ეს პრობლემები მოიხსნა. აღარავის უკვირს ჩვენს ასაკში სიყვარული. ჩვენ ამან ცოტა წაგვთამამა და სატრაბახოდაც კი გავიხადეთ იგი. თავი მოგვწონს — გაუთავებლად ვლაპარაკობთ, ვის ვუყვარვართ, ვინ გვიყვარს...

კიაზო სივსივაძე. ეს ასეც უნდა იყოს. მე მგონი, საამაყოა, როცა გიყვარს ან უყვარხარ.

მაია მეტრეველი. სიამაყე გულში უნდა გქონდეს. შესაძლოა, ყველაფერზე დაგეტყოს ეს — გარეგნობაზე, ქცევაზე... მაგრამ სიტყვები აქ ზედმეტია. თანაც, რა არის საამაყო, როცა ყველაფერი ლაპარაკით მთავრდება და იმის იქით სიცარიელეა.

ირინა ბეგიაშვილი. ჩვენს დროშიც უხდებათ სიყვარულის მალვა. ეს მაშინ, როცა სხვა წრიდან შეუყვარდებათ. რაღაც დაუწერელი კანონი შემოვიღეთ: თუ ჩვენი მეგობრები ათვალწუნებით უყურებენ ვინმეს და სიახლოვეს არ იკარებენ, ჩვენ, ძალიანაც რომ გვიყვარდეს, უნდა დავფაროთ, უნდა ვითვალთმაქცოთ....

კიაზო სივსივაძე. რატომ ვიყოფით რაღაც წრეებად? რისი მიხედვით? ესეც ჩვენი ნაკლია. რაც შეეხება სიყვარულს, მე ვერ დაგეთანხმებით. ნამდვილი სიყვარული იყო, არის და იქნება. მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ ხშირად ვერ გაგვირჩევია სიყვარული გატაცებისაგან.

ნინო ტარყაშვილი. ჩვენს თაობას შეუძლია სიყვარული. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, პროპორციები მართლაც შეიცვალა. მსუბუქი გატაცებებიც არსებობდა ყოველთვის, ყველა ეპოქაში, მაგრამ ახლა საკმაოდ გახშირდა.

ირინა ბეგიაშვილი. ჩემს მეგობარს სამი წელია უყვარს ბიჭი. მას მხოლოდ ესალმება. სხვა არავითარი ურთიერთობა არა აქვს და არც ცდილობს დაახლოებას. ეშინია, რაიმე არ გაუბრალოვდეს, არ გაქრეს... არ ვიცი, ეს ცუდია, თუ კარგი. ისე, მომწონს, ასეთი ლამაზი გრძნობაც რომ არსებობს ამქვეყნად.

მაია ბერიძე. რაც არ უნდა ვთქვათ, სიყვარული თვისებრივად შეიცვალა — საკმაოდ ხანმოკლე. გახდა. ასე რომ არ იყოს, განა ამდენი განქორწინება იქნებოდა? განა ამდენი ოჯახი დაინგრეოდა? რა მაგალითები გვაქვს ირგვლივ? განა მერე ვინმე არჩევს, სად არის სიკეთე და სიყვარული და სად ბოროტება და ადამიანობა?

ირაკლი ტაბლიაშვილი. ცხოვრებაში სიკეთე ხშირად ანგარებით არის. სამაგიეროს ელოდებიან. რამდენჯერ გამიგია უფროსებისაგან, სიკეთე არ დამიფასდაო.. ზოგჯერ იმის შიშით არ აკეთებენ სიკეთეს, ვაითუ სამაგიერო ვერ მივიღოთო. ეს უკვე სიკეთე აღარ არის. მერე იმასაც გაარჩია, ვინ აკეთებს სიკეთეს, სად და როგორ. მაგალითად, ჩემი სკოლის წინ ავტოინსპექტორი დგას მანქანით.ჩვენ უნებლიე მოწმენი ვხდებით, როგორ „მუშაობს“ იგი. ხომ შეიძლება, ეს მძარცველიც სადღაც ვიღაცისთვის კეთილი იყოს?

თამარ ბახტაძე. სიკეთე ხშირად მატერიალურ მხარეს უფრო გულისხმობს. თუ ადამიანი ორი კვირა ხელფასს უცდის, რომ ოჯახი როგორმე არჩინოს, იმან როგორ გამოავლინოს თავისი სიკეთე მეგობრებთან, ახლობლებთან თუ ნათესავებთან? ვის სჭირდება მისი კეთილი გული?

ირმა მოდებაძე. ძალიან ცოტას, მაგრამ მაინც მოიძებნებიან ადამიანები, ვისაც კეთილი გულის სითბო და უანგარო დამოკიდებულებები სჭირდება. ზოგისთვის ერთი კონა ია ყველაფერზე ძვირფასია...

ირინა ბეგიაშვილი. ნუ მოვიტყუებთ თავს. ერთეულებით არ არის ეს ცხოვრება. სიკეთე ბოროტების წინაშე ყოველთვის უმწეოა. უმადურობა და ბოროტება კლავს სიკეთეს.

ვასიკო ოორამაშვილი. სიკეთისათვის რამდენი ადამინი დასჯილა. ამას ხედავს ერთი, მეორე, მესამე... მეასე... და თუ ადამიანი სიკეთის სისუსტეს გრძნობს და არც ბოროტების გაკეთება შეუძლია, უკეთეს შემთხვევაში, იგი ინერტული, უმოქმედო ხდება. ამიტომ არიან დღეს კეთილშობილი ადამიანები თითქოს ყველაფერს „შეგუებულნი“.

ირაკლი ტაბლიაშვილი. როგორც ზოგი ადამიანი ფიზიკურად ან გონებრივად ძლიერია და ზოგი სუსტი, ასეა სიკეთეც. ზოგში მეტია იგი და ზოგში ნაკლები. მასაც განვითარება სჭირდება. ეს არის, რომ კაცმა ათი სიკეთე რომ გააკეთოს და ერთი ბოროტება, ხალხი ამ ერთს დაინახავს.

ირმა მოდებაძე. კეთილი ადამიანი ბოროტებას ვერ ჩაიდენს!

ნინო ტარუაშვილი. მე მგონია, სიკეთისათვის არის ადგილიც და დროც, მაგრამ ისინი ერთმანეთს უნდა დაემთხვას, რაც ჩვენს პირობებში იშვიათად ხდება...

მაია ბერიძე. იმისათვის, რომ ჭეშმარიტად გიყვარდეს, ცხოვრებაში ავისა და კარგის გარჩევა შეგეძლოს, პირველ რიგში პიროვნებად უნდა გრძნობდე თავს. ჩვენ რა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ პიროვნებად ვიგრძნოთ თავი?

კიაზო სივსივაძე. ყოჩაღ, მაია, მართლაც მტკივნეული პრობლემა წამოჭერი. დავსვათ საკითხი და ვიმსჯელოთ: სად ვგრძნობთ თავს პიროვნებებად?

ალექსანდრე ბეჟაშვილი. ოჯახში სულ ბავშვები ვართ, რომელთაც სჭირდებათ სიყვარული, მოვლა, პატრონობა, ხელის შეწყობა, მზრუნველობა... რაც უნდა გავიზარდოთ, ოჯახში მუდამ ბავშვებად ვრჩებით.

კიაზო სივსივაძე. ეს უკეთეს შემთხვევაში. არსებობს უარესებიც. დანგრეული ოჯახებით გულისტკენა. შვილისადმი უხეშობა, პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა. რამდენჯერ მინახავს, დედა ჩვენს ტოლ ბიჭს ასე მიმართავს საზოგადოებაში: „გადმოეთრიე აქეთ, დაეგდე მანდ და მეორედ აღარ გამაგონო ეს“... რა უნდა გაიზარდოს იგი? რა პიროვნება ჩამოყალიბდება მისგან?

მაია მეტრეველი. მართლაც, ბევრ ჩვენს თანატოლს აყენებს დიდ ტრავმას ოჯახი, საზოგადოება. ტრანსპორტში, ქუჩაში, ბაღში ზოგჯერ უფროსი ისეთ შენიშვნას მოგვცემს და ისეთი ტონით... ზოგს ჰგონია, რაკი უფროსია, ყველაფრის უფლება აქვს. ბავშვში და მოზარდში არავინ ეძებს, ხედავს პიროვნებას.

მაია ბერიძე. რა პიროვნებაზეა ლაპარაკი. იმ დღეს ერთი ქალიშვილი ყვებოდა, მასწავლებელი თურმე კლასში ორმოც ბავშვს ასე მიმართავს: თავს მოგკრით და ხელებში მოგცემთ, ტვინს ამოგასხმევინებთო...

კიაზო სივსივაძე. მიცვალებულებო, საფლავის ქვებო, მკვდარო სულებოო! ზოგი მასწავლებელი ასე მიმართავს ბავშვებს... ნუ ბუყბუყებთ მყრალი ჭაობივითო — ერთს ასეც უთქვამს.

ირაკლი ტაბლიაშვილი. მასწავლებელი ავტორიტეტი უნდა იყოს და არა ავტორიტარული, როგორნიც ხშირად არიან.

მაია ბერიძე. ზოგიერთ მასწავლებელს კიდეც ეუხერხულება, რომ გაკვეთილზე მოსწავლემ სახელმძღვანელოში ჩაიხედოს, იმდენად ვერ სცილდება მას... მასწავლებელმა მოსწავლე გაკვეთილისადმი უყურადღებით რომ განაწყოს, ყვირილი, ცარცისა და სახაზავის სროლა კი არ არის საჭირო, არამედ დიდი განათლება და ზედმიწევნითი ადამიანურობა. განათლებაში მე სასკოლო პროგრამის ციტ, არაშემოქმედებით ცოდნას არ ვგულისხმობ, რომელიც რაღაც ჩარჩოებში გვამწყვდევს და ტრაფარეტულ აზროვნებას გვაჩვევს.

ის, ვისაც არ ძალუძს ერთფეროვანი გაკვეთილების გულგრილად ატანა, ზოგჯერ ცდილობს, გეზი მისცეს, გამოაცოცხლოს მოსაწყენი წუთები, რაღაცას იკითხავს, რომელსაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს საინტერესო საუბარი. მაგრამ... თავისუფალ აზროვნებას ჩვენი მასწავლებლები მხოლოდ მდგომარეობიდან გამოჰყავს. ასეთი მოსწავლე მაშინვე „ანტისაზოგადოებრივი“, გაკვეთილის „ამრევი“ ხდება და იწყება კონფლიქტი, არადა, რა აზრი აქვს გაკვეთილს თავისუფალი აზროვნების გარეშე? არცოდნა კიდევ არ არის ისეთი ცოდვა. ასეთი მასწავლებელი თავისთვის არის, მოსწავლეები—თავისთვის, ვითომ „მცოდნე“ მასწავლებელი უფრო საშიშია. ის თავის კონსერვატორულ დამღებს ახვევს თავს მოსწავლეებს და მოითხოვს, უკრიტიკოდ მიიღონ. არავინ არ ცდილობს, რაიმე ისწავლოს მოსწავლისაგან... თუნდაც მის ინტერესებს გაუწიოს ანგარიში.

ეკა კავთიაშვილი. ისტორიის გაკვეთილზე მთელი კლასი ვმონაწილეობთ. ყველა მობილიზებულია, ყველა აზროვნებს და ეს ხდება თავისუფლად, ყოველგვარი ძალადატანების გარეშე... ეს შეძლო ჩვენმა მასწავლებელმა.

ირინა ბეგიაშვილი. ასეც ხდება: მასწავლებელი განათლებულია, არც პროგრამით იზღუდება, თავისუფლად აზროვნებს, ჩვენ კი მას ვერ ვუგებთ. ჩვენ გვყავდა ასეთი ახალგაზრდა მასწავლებელი. ცდილობდა, ბაშვებთან ახლოს ყოფილიყო, აზროვნებდა, ჩვენც გვაჩვევდა. პედკოლექტივმა შეიძულა, ბავშვებმაც ვერ დავიცავით, თუ სურვილი არ გვქონდა... რატომ არ უნდა გვქონოდა? რატომ არ ვიყავით პრინციპულნი? ჩვენც ბევრს ვცოდავთ.

ხათუნა მჭედლიშვილი. ჩვენ ასეთ პედაგოგებსაც ვერ ვუგებთ ხშირად და... რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდად ვეპყრობით.

მაკა ბლიაძე. ზოგიერთ ჩვენს თანატოლს ყველა საპროგრამო ლექსი და მოთხრობა სძულს. განა ეს მართალია?

კიაზო სივსივაძე. რამდენი მოსწავლე რამდენ სკოლაში არ შედის გაკვეთილზე, როცა მასწავლებელი გალაკტიონის ახსნას იწყებს. არ უნდათ, საყვარელი მწერალი დაამცირონ მისი მოსმენით. არც გამსახურდიაზე შედიან! ამგვარ დამოკიდებულებაში მარტო მასწავლებელი და მოსწავლე არ არიან დამნაშვენი. რაღაც ვერ არის მოწყობილი ისე, როგორც საჭიროა. ზოგჯერ მასწავლებელს ოთხიხუთი კლასი ჰყავს, მეტიც... განა შეიძლება, ორასი ბავშვის ინტერესები დააკმაყოფილოს ერთმა ადამიანმა, ან ყველას ხასიათი ინდივიდუალურად შეისწავლოს... ან რატომ უნდა იყოს კლასში ორმოცი მოსწავლე?

ნინო ტარუაშვილი. როცა პატარები ვართ, იოლად მივდივართ მასწავლებელთან. გვიყვარს კიდეც იგი. ამ მასწავლებელმა ჩვენი ხასიათიც იცის და შესაძლებლობებიც. ახალ მასწავლებელს ბევრ რამეში გამოადგება ამგვარი მასწავლებლის რჩევა ბავშვებთან ურთიერთობაში. მოსწავლის ინდივიდუალურ ხასიათს ანგარიშს ბევრი როდი უწევს...

ალექსანდრე ბეჟაშვილი. სურვილიც არა აქვთ ამის. ყველა თავისას გვავალებს მხოლოდ, ყველა თავისას ითხოვს და ყველაფერი ეს ისე ბევრია და იმდენად შეუძლებელია მათი შესრულება... ზერელობასაც იმიტომ მივეჩვიეთ და ურთიერთობებიც იმიტომ დაიძაბა.

მაია ბერიძე. სწორედ ყველაფერს ერთნაირად რომ ვსწავლობთ, იმიტომ არის, რომ მოსწავლე სკოლაში თავის თავს ვერ პოულობს! ამიტომ არ აბარებს ხშირად იქ, სადაც უნდა აბარებდეს. მერე ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ისე, როგორც საჭიროა, რადგან თავისი პროფესია არ უყვარს, არ იცის...

კიაზო სივსივაძე. ამიტომ არ უნდა იყოს სწავლა იძულებით. ბავშვს რაც აინტერესებს, ის უნდა ისწავლოს. ნიშნები და „არები“ მოსწავლის ლაგამია მხ[illegible]

ნიკა გელაშვილი. ხომ არიან, ბავშვები, რომელთაც არაფერი არ აინტერესებთ?

მაია მეტრეველი. უინტერესო ბავშვი არ არსებობს. ბავშვის ნიჭსა და შესაძლებლობებს გამოვლენა სჭირდება. ამ საქმის გამკეთებელი კი ცოტაა.

ნინო ტარუაშვილი. მე მინახავს მაია ბერიძის ჩანაწერები. სკოლაში ოდნავ მაინც რომ შეიცვალოს პირობები, მას აუცილებლად მიაჩნია: გახშირდნენ ნოვატორი მასწავლებლები, მოისპოს სავალდებულო სწავლება, სწავლება მიმდინარეობდეს ინტერესების მიხედვით, შემცირდეს პროგრამა. როგორ [redacted] მაია, შენს მოსაზრებებს?

მაია ბერიძე. ჩემი აზრით, ასე გამოყოფილნი არც უნდა იყვნენ ნოვატორი პედაგოგები. ყველა პედაგოგი თავისებურად ნოვატორი უნდა იყოს და სულ იმას ფიქრობდეს, რა გზები და ხერხები იპოვოს იმისათვის, რომ თავისი საგანი საყვარელი და საინტერესო გახადოს მოსწავლეებისათვის...

კიაზო სივსივაძე. ეს მაშინ მოხდება, როცა პედაგოგი მოწოდებით იქნება პედაგოგი და არა შემთხვევით მისული სკოლაში...

მაია ბერიძე. სწავლა სავალდებულო რომ არის, იმიტომ იქცა დოგმად, მოსაცილებლად... ბავშვს რაც აინტერესებს თუ იმას ასწავლი, ძალდატანება აღარ იქნება საჭირო. რაც შეგნებულად კეთდება, შედეგი მხოლოდ იმას აქვს.

ჩვენს ოჯახში ნიშანი დიდი ტრაგედიაა, დიდი სანერვიულო რამ. და ეს ხდება იმიტომ, რომ დედაჩემი ღამის ცვლაში მუშაობს, ძალიან წვალობს. მას მიაჩნია, რომ მე თუ კარგად ვისწავლი და უმაღლესს დავამთავრებ, იოლად ვიცხოვრებ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ იმის საფუძვლიან სწავლას, რასაც სკოლაში ყოველ გაკვეთილზე გვაძლევენ, სულ მცირე შვიდი-რვა საათი მაინც სჭირდება. თუ ამას გააკეთებ, ვერ წაიკითხავ შენთვის საინტერესო წიგნს, ვერ ნახავ ფილმს, სპექტაკლს, ვერ ივლი სპორტზე... ერთი სიტყვით, იქცევი მანქანად. რაც მთავარია, არ გეყოლება მეგობრები, ვინაიდან შენ მათთვის ვეღარ მოიცლი.

ნინო ტარუაშვილი. არა ხარ, მაია, მართალი, მე ფრიადოსანი ვარ და შენ კარგად იცი, რამდენი მეგობარი მყავს.

ნინო ნანობაშვილი. არც მე მაკლია მეგობრები. კარგ ნიშნებზე სწავლა სულ არ მიშლის ამაში ხელს.

მაია ბერიძე. როცა მეგობრებთან გაატარებთ ორ-სამ საათს, მერე როდის ინაზღაურებთ ამ დროს?

ნინო ნანობაშვილი. ღამე. ხან ორ-სამ საათამდე ვმეცადინეობ.

მაია ბერიძე. ეს ხომ უკვე ცხოვრების არანორმალური პირობებია. თქვენ ერთხელ არჩეული გზით დაბეჯითებით სვლას ახერხებთ საკუთარი ძალების დიდი დაძაბვით. ეს დღეს თუ არა, ხვალ შედეგს გამოიღებს. ამიტომ არის, რომ ბიჭები მაღალ კლასებში ნაკლებად არიან ფრიადოსნები. ამ დროს დგება არჩევანი — მეგობარი თუ სწავლა. ვის გაამტყუნებ, თუ პირველს აირჩევს...

კიაზო სივსივაძე. რაც მართალია, მართალია. ჩვენ სულ არა გვაქვს თავისუფალი დრო. ჩვენ თვითონ კი ვაძლევთ მას

ჩვენ თავს. მაგრამ... მერე დაიწყებენ ლაპარაკს, რაში დავეხმაროთ ახალგაზრდობას, რომ სწორედ გამოიყენოს თავისუფალი დრო, ჭკვიანურად გაანაწილოსო. რაც უფლებით არ გვაქვს მონიჭებული, იმის გამოყენებაში როგორ გვეხმარებიან?

მაია მეტრეველი. როდის ვსწავლობთ სიყალბეს?

ალექსანდრე ბეჟაშვილი. ყოველ ნაბიჯზე. მაგალითად, კომკავშირის კრებაზე.

მაია ბერიძე. რამდენიც გნებავთ უფროსკლასელი შეგნებულად არ შედის კომკავშირში. იგრძელებს თავისუფალ დროს. არაფრისმთქმელ კრებას თუ გააცდენ, დაგაბრალებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მონაწილეობო. არადა, ეს ყველაფერი ხომ ფორმალურია. რა შეიცვალა იმის შემდეგ, რაც გულახდილად და პრინციპულად ჩატარდა საკავშირო კომკავშირის ყრილობა?

ირაკლი ტაბლიაშვილი. აი, მაია მეტრეველი სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანია. იმისათვის რომ უფრო საინტერესო გაგეხადა კომკავშირული ცხოვრება, რა გააკეთე, მაია, შენ?

მაია მეტრეველი. ვერც გავაკეთებდი. ათ ბავშვს დაიბარებ, ორი მოვა ან ისიც არა. არავის არაფერი აინტერესებს. რაზმის ხელმძღვანელები უნდა აგვერჩია, სანამ არ ვუთხარით ეს ინსტიტუტში შესვლაში დაგეხმარებათო, მანამდე არავინ დაგვთანხმდა.

ნინო ტარუაშვილი. როცა კომკავშირი შეიქმნა, მაშინ მას მიზანი ჰქონდა. დროის ინტერესებს ემთხვეოდა ეს მიზანი. ახლა დრომ სხვა ინტერესები მოიტანა, კომკავშირი კი ჩამორჩა. იმიტომ დავკარგეთ ინტერესი, რომ ვიცით, იქ ყველაფერი ისე ხდება, როგორც ოცი-ოცდაათი წლის წინათ ხდებოდა. ერთი საქმეში ჩახედული მოსწავლე ამბობდა, მოხსენებებიც კი მეორდება, მარტო ციფრებსა და ფაქტებს ცვლიანო.

მაკა ბლიაძე. მეც სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ. ჩვენ ნაწილობრივ უკვე შევძელით, დაგვერწმუნებინა კომკავშირელები, რომ თავად არიან ყველაფრის ბატონ-პატრონნი, თითოეულმა თავად უნდა მოიფიქროს ის, რაც საინტერესოს გახდის კომკავშირულ ცხოვრებას. ბევრი სიახლეებიც გვაქვს.

ირინა ბეგიაშვილი. ჩვენ თვითონაც უინტერესონი გავხდით, პიონერთა სასახლეში ხომ ჩვენი სურვილით დავდივართ, ხომ არავინ გვაძალებს?

მაია ბერიძე. სიამოვნებით დავდივართ, მაგრამ იცით, ამ ოთხი წლის წინ მე რა მიზნით შევდგი ფეხი პიონერთა სასახლეში? ჩემი ჭკუით, კარგად უნდა მესწავლა ლექსის წერა, რათა „მეშოვა“ ფული და ჩემთვის მარმარილოს აბაზანა გამეკეთებინა. იქ შევხვდი მასწავლებელს, რომელმაც „თავდაყირა დააყენა“ ყველაფერი, მე ახლა სულ სხვა ადამიანი ვარ.

ნინო ტარუაშვილი. ზოგიერთ მასწავლებელს მართლაც შეუძლია კეთილი საწყისის გახსნა.

ირინა ბეგიაშვილი. ჰოდა, ჩვენმა მასწავლებელმა რომ გვთხოვა, სიტყვები მოამზადეთ, დედაენის ძეგლთან პატარა მიტინგი ჩავატაროთო, რატომ არ შევასრულეთ? მას ხომ არ უნდოდა, ჩვენთვის თავს მოეხვია ღონისძიება, წინასწარგამზადებული სიტყვები დაერიგებინა. განა დედაენის ძეგლთან ქართველ ბავშვებს სათქმელი არ უნდა გვქონოდა? ესეც კომკავშირი და ძალდატანებაა?

კიაზო სივსივაძე. იმდენ სიყალბეს ვუყურებთ, მართალზე და გულისმიერზეც გულგრილნი გავხდით. ისე, რატომ არ შეიძლება, ის ვაკეთოთ, რაც გვაინტერესებს და ამას კომკავშირული ღონისძიება ერქვას?

მაია მეტრეველი. საკონფერენციო თემებს ორი კვირით ადრე დაარიგებენ, თითქოს მანამდე არ იცოდნენ, რომ საჭირო იყო, აგაჩქარებენ, ბიოლოგიაში იმ ბავშვს მისცემენ, ვისაც დედა ან მამა ბიოლოგი ჰყავს, მათემატიკაში მათემატიკოსის შვილს და ასე...

ნინო ტარუაშვილი. განა სიყალბე არ არის? ზოგან ავალებენ თემას „ჩემი ოჯახი“. თან ეტყვიან, შეგიძლიათ, ხელი არ მოაწეროთო. ვითომ ასე უნდათ გამოავლინონ ნარკომანები, ლოთები, მეძავები. რომელი მოსწავლე დაწერს გულახდილად ამგვარ თემას? ხომ იცის, ყველა იცნობს მის კალიგრაფიას. ზოგან ავალებენ თემას — „რას ფიქრობ გარდაქმნაზე“. დაწერენ რასაც ფიქრობენ და იწყება გაუთავებელი ნერვიულობა, რა დაგიწერიათ, ეს თემები რაიკომში როგორ წავიღოთო. ან რატომ აჩვევენ ბავშვებს, ხელმოუწერლად რაიმე წერონ?

ირაკლი ტაბლიაშვილი. გარდაქმნა ჯერჯერობით დაეტყო მხოლოდ პრესას და ტელევიზიას.

ირინა ბეგიაშვილი. არსი, შინაარსი ჯერჯერობით იგივე რჩება ყველგან და ყველაფერში. როცა საკითხი დგას ახალი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შედგენაზე, ვისაც ხელეწიფება, უნდა გაითვალისწინოს, რომ მათი შედგენის პრინციპია შესაცვლელი და არა საკითხების ფორმალური გადატან-გადმოტანა. ლიტერატურისა და საერთოდ ყველა საგნის სახელმძღვანელოში პირველ რიგში აღმზრდელობითი პრინციპი უნდა ბატონობდეს. ესა თუ ის მწერალი იმდენად უნდა იყოს საინტერესო, რამდენადაც მოსწავლის ფორმირებას, შინაგანი კულტურის დახვეწას შეუწყობს ხელს. აი, მაშინ შეიძლება ლაპარაკი გარდაქმნაზე. თუ გარდაქმნა ურთიერთდამოკიდებულებასაც დაეტყო...

მაია ბერიძე. ფორმალურია სკოლაში ყველა წრე.

კიაზო სივსივაძე. იძულებით გვაწერინებენ გაზეთებს, იძულებით გვირიგებენ კვების ტალონებს. იქამდე მივედით, გამოგვიცხადებენ თეატრის აბონემენტებია მოსული და ფული მოიტანეთო...

ვასიკო იორამაშვილი. აბონემენტებს ზოგან აღარც არიგებენ, მაინც არავის უნდა დაძალებული.

კიაზო სივსივაძე. ათასგვარი საზოგადოებრივი კავშირებისათვის, რომლებიც თვალითაც არ გვინახავს და წარმოდგენაც არა გვაქვს, ვიხდით საწევროს...

ალექსანდრე ბეჟაშვილი. რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ავიღოთ, მაგალითად, სადღესასწაულო დემონსტრაციები... ორი კვირა მაინც გვავარჯიშებენ. ვწვალობთ, ვსწავლობთ. დღესასწაულის დღეს საათობით ლოდინით ისე ვიღლებით, როგორ გავიარეთ, როგორ შევასრულეთ ის, რის სწავლასაც ამდენი დრო და ენერგია შევწირეთ, აღარც ჩვენ გვესმის და აღარც სხვა ხედავს. მხოლოდ გაიარე. რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, რომ ძალით კი არა, სიხარულით მივდიოდეთ... ყველა ხომ ხედავს, ყველამ ხომ კარგად იცის, რაც ხდება და როგორც ხდება.

კიაზო სივსივაძე. უნდა გაანთავისუფლეთ თავშესაყარი აზროვნების მოყვარულ ბავშვებისათვის. მაგალითად, რატომ არ უნდა იყოს საგანგებო კინოდარბაზი „ინტელექტუალური“ ფილმებისათვის. მე და ბევრი ჩემი ინტერესების მოზარდს გვეცოდინება, სად უნდა წავიდეთ, რომ ფილმს მოჰყვეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა. ბიბლიოთეკების პრობლემაც სხვაგვარად უნდა გადაწყდეს...

მაია ბერიძე. სკოლის ბიბლიოთეკა, ჩვეულებრივ, ღარიბია, თუ ერთი-ორი კარგი წიგნი გამოჩნდა, იმას სამოსწავლოდ არავინ გახდის. საქალაქო ბიბლიოთეკებში, რაც გვინდა, არასოდეს არ არის.

მაია მეტრეველი. იქაც ნაცნობ-მეგობარია საჭირო, რომ წიგნი გამოგიჩინონ. უკეთეს შემთხვევაში, თუ პირდაპირ არ მიიღე უარი, შევლენ საცავში და მაშინვე გამოვლენ. იქნებ არც მონახონ, მათი ნება არ არის?

კიაზო სივსივაძე. პიონერთა სასახლეშიც ჭირს. ვფიქრობ, ბიბლიოთეკაში, სადაც ახალგაზრდები დადიან, ახალგაზრდები უნდა მუშაობდნენ. არც სამკითხველო დარბაზი გვაქვს.

მაია ბერიძე. ზოგ მოხუცს ძველი რწმენა და მუშაობის ხალისი აქვს გამოყოლილი და ბევრ ახალგაზრდას კიდევ აჯობებს...

მაია მეტრეველი. საჯარო ბიბლიოთეკაშიც დავდივართ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ძნელი და დიდი თემა გვაქვს დასამუშავებელი. ისე, სისტემატურად, თავისი ცოდნის გაღრმავებისათვის, განათლებისათვის იქ დღეს არავინ დადის. დროც არა გვაქვს ამისა...

კიაზო სივსივაძე. საუბარი გაგვიგრძელდა. ჩვენს პრობლემებს რა ამოწურავს. ჩვენს მომავალზე მზრუნველმა უფროსებმა ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ: თითქოს რწმენა დაიკარგა, კაცსაც უკვე ეჭვის თვალით ვუყურებთ, იმდენ რამეს ვხედავთ ცხოვრებაში. კარგი მაგალითები გვჭირდება, კარგი! თორემ რა გამოვიდა, თანდათან ვკარგავთ ხედვის, წინააღმდეგობის, აღმოჩენის, ბოლოს და ბოლოს მეტყველების უნარსაც კი. დღეს სიყვარულის უნარშიც შევიტანეთ ეჭვი. მაშ, რა შეგვრჩა ხელში? განა ამის შემდეგ გასაკვირია, თუ ბოროტება იმძლავრებს და ინავარდებს ამქვეყნად?

მაია ბერიძე. ყველამ თუ საკუთარ გულში ჩაიხედა, იქნებ... იქნებ ის მაინც გაიხსენოს, რომ ყოველგვარი კეთილდღეობა დროებითია და წარმავალი. უკვდავია მხოლოდ ის, რაც სულის ნაყოფია, ზოგი ისე ირჯება, თითქოს სიკვდილი არ არსებობდეს ამქვეყნად. თქვენ მეტყვით, ცოცხალი ადამიანი სიცოცხლეზე უნდა ფიქრობდესო მხოლოდ. ვაი რომ, სიკვდილზე ფიქრიც მოითხოვა საჭიროებამ ჩვენს დროში, თორემ... სიხარბემ გადათელა ყველაფერი წმიდათაწმიდა.

მაია მეტრეველი. არც ჩვენ გვაწყენს, ზოგჯერ საკუთარ თავს კრიტიკულად შევხედოთ, ჩვენზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

კიაზო სივსივაძე. ყველამ გულში ჩავიხედოთ, ყველამ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი წლის ჯუბილე!

სიმონ ბოლქვაძე

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილესათვის მზადების პერიოდში გამოქვეყნებულმა დიდძალმა მასალამ ისევ გაგვახსენა და თვალწინ დაგვიყენა ინგლისელი უორდროპების ოჯახი, განსაკუთრებით და-ძმა მარჯორი და ოლივერი. მათ მიერ ქართველი მეგობრებისადმი მიწერილ, სულიერი მღელვარებითა და სითბოთი აღსავსე წერილებიდან ჩანს ქართველი ხალხის, მისი ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. ასეთი დამოკიდებულება მათ საქმითაც დაამტკიცეს ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლების ინგლისურ ენაზე თარგმნითა და პოპულარიზაციით.

ვრანდიოზული საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ უამრავ უცხოელ სტუმართა შორის იყო ანდრო უორდროპი, უმცროსი ვაჟი ოლივერ უორდროპისა.

26 ოქტომბერს იგი ინგლისელი ქართველოლოგების — ჯორჯ ჰიუიტისა და დონალდ რეიფილდის, აგრეთვე პროფესორ გურამ შარაძის თანხლებით ეწვია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. საუბარში მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის აპრილში შესრულდა ასი წელი მას აქეთ, რაც 23 წლის ოლივერ უორდროპმა პირველად დადგა ფეხი საქართველოს მიწაზე. მე ისეთი გრძნობა დამეუფლა, მგონია, ახლა მამაჩემის სული აქ ტრიალებსო. მან დირექტორს პროფესორ ლევან ჭილაშვილს მუზეუმში დასაცავად გადასცა რამდენიმე საჩუქარი:

მედალიონი თითბრისა, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია წმინდა ნინო ჯვრითა და სახარებით ხელში, მის გარშემო ნუსხახუცური წარწერაა: „წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი“, მეორე მხარეს: „საყდარი განმზადებული“;

ნიშანი სამკერდე თითბრისა, ჯვრის ფორმის. განიერი მკლავები დაფარულია წითელი მინანქრით. ჯვრის ცენტრში თითბრის წრიულ ფირფიტაზე ამოკაწრულია ამხედრებული წმინდა გიორგის გამოსახულება შუბით ხელში. გარშემო მხედრული წარწერაა: „ქართული წითელი ჯვარი — კონსტანტინოპოლის განყ.“,

წიგნი, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისური თარგმანი მარჯორი უორდროპისა, ილიას სურათით. გამოცემული ლონდონში 1895 წ. ანდრო უორდროპის ავტოგრაფით;

წერილი მარჯორი უორდროპისა გაგზავნილი ქუთაისიდან ლონდონს მისი ძმის თომასათვის, შუაზე გაკეცილ საფოსტო ქაღალდის შვიდ გვერდზე. დათარიღებულია 1894 წლის 31 დეკემბრით.

ამ წერილს აქვე ვაქვეყნებთ:

ქუთაისი 1894 წლის 31 დეკემბერი.

ჩემო ძვირფასო თომ!

რამდენიმე დღის წინ მივწერე წერილი მაპას, სადაც მოვუთხრობ ჩვენი ქუთაისში ჩამოსვლის შესახებ. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ ქალაქით და მიღებით. შაბათს გავემგზავრეთ ერთ-ერთი ძველი კათედრალის ნანგრევების დასათვალიერებლად, რომელიც VIII საუკუნეშია აგებული*. თავის დროზე ეს უნდა ყოფილიყო შესანიშნავი ნაგებობა და მიგვანიშნებს, თუ რა მაღალი დონის ცივილიზაციას მიაღწიეს ქართველებმა ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში. ამის შემდეგ ჩვენ ვნახეთ უძველესი ციხესიმაგრის ნანგრევები, შემდეგ ვეწვიეთ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომლის „ქადაგებანი“ ინგლისურად თარგმნა მალანმა. ის მეტად მოხუცია ახლა და მიუხედავად ამისა, მაინც ეტყობა, რომ თავის დროზე შესანიშნავი კაცი უნდა ყოფილიყო; მას დიდი გავლენა აქვს თანამემამულეებზე. მან ჩვენ ყველას პატივისცემის ნიშნად მოგვართვა მედალიონები, რომლის ცალ მხარეზე წმ. ნინოა გამოსახული, გვაჩუქა თავის „ქადაგებათა“ რუსული და ქართული ახლები საკუთარი ავტოგრაფით.

გუშინ ჭ. ქუთაისის ქალაქის თავმა ჩვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით მეფური ბანკეტი გამართა. ამ ბანკეტზე 120 კაცამდე მოიყარა თავი. მე და დედა დაგვსვეს ქალაქის თავსა და თავად-აზნაურთა მარშალს შორის. ჯონი იჯდა ორ ბრწყინვალე თავადს შუა. ჩვენი სადღეგრძელო შეეხვა ერთხელ კი არა, ოთხჯერ მაინც სათანადო ჭარხულება შუბით ხელში. გარშემო მხედრული წარწერაა: „ქართული წითელი ჯვარი — კონსტანტინოპოლის განყ.“,

წიგნი, ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისური თარგმანი მარჯორი უორდროპისა, ილიას სურათით. გამოცემული ლონდონში 1895 წ. ანდრო უორდროპის ავტოგრაფით;

წერილი მარჯორი უორდროპისა გაგზავნილი ქუთაისიდან ლონდონს მისი ძმის თომასათვის, შუაზე გაკეცილ საფოსტო ქაღალდის შვიდ გვერდზე. დათარიღებულია 1894 წლის 31 დეკემბრით.

ამ წერილს აქვე ვაქვეყნებთ:

ქუთაისი 1894 წლის 31 დეკემბერი.

ჩემო ძვირფასო თომ!

რამდენიმე დღის წინ მივწერე წერილი მაპას, სადაც მოვუთხრობ ჩვენი ქუთაისში ჩამოსვლის შესახებ. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ ქალაქით და მიღებით. შაბათს გავემგზავრეთ ერთ-ერთი ძველი კათედრალის ნანგრევების დასათვალიერებლად, რომელიც VIII საუკუნეშია აგებული*. თავის დროზე ეს უნდა ყოფილიყო შესანიშნავი ნაგებობა და მიგვანიშნებს, თუ რა მაღალი დონის ცივილიზაციას მიაღწიეს ქართველებმა ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში. ამის შემდეგ ჩვენ ვნახეთ უძველესი ციხესიმაგრის ნანგრევები, შემდეგ ვეწვიეთ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომლის „ქადაგებანი“ ინგლისურად თარგმნა მალანმა. ის მეტად მოხუცია ახლა და მიუხედავად ამისა, მაინც ეტყობა, რომ თავის დროზე შესანიშნავი კაცი უნდა ყოფილიყო; მას დიდი გავლენა აქვს თანამემამულეებზე. მან ჩვენ ყველას პატივისცემის ნიშნად მოგვართვა მედალიონები, რომლის ცალ მხარეზე წმ. ნინოა გამოსახული, გვაჩუქა თავის „ქადაგებათა“ რუსული და ქართული ახლები საკუთარი ავტოგრაფით.

გუშინ ჭ. ქუთაისის ქალაქის თავმა ჩვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით მეფური ბანკეტი გამართა. ამ ბანკეტზე 120 კაცამდე მოიყარა თავი. მე და დედა დაგვსვეს ქალაქის თავსა და თავად-აზნაურთა მარშალს შორის. ჯონი იჯდა ორ ბრწყინვალე თავადს შუა. ჩვენი სადღეგრძელო შეეხვა ერთხელ კი არა, ოთხჯერ მაინც სათანადო ჭარხულებით. გარშემო ბანდა ეკლესიის ეზოში ეკლესიის ეზოში. ეკლესიის ეზოში ეკლესიის ეზოში. ეკლესიის ეზოში ეკლესიის ეზოში.

ჩავლილი წლის ქრონიკა

კაცი თავის აღგილზე

ჯოხონელიძე რაჭული გვარია. ამ გვარის ხალხი ძირითადად ტბეთში სახლობს. ცახში მარტო ფილიმონა ჯოხონელიძე ცხოვრობდა, გიგილაშვილებს ჩაესიძა და ცოლოურის ნაფუძარზე ოჯახიც შექმნა. მთელი სიცოცხლე მაინც სხვის კერაზე მისულად თვლიდა თავს და ბოღმაგარეულად ხუმრობდა: ხაფანგში გაბმულ მელას ჰკითხეს, როგორ ხარო და... ჩასიძებულ კაცს მაინც ვჯობივარო.

ხუმრობა იქით იყოს და, ფილიმონა ბაბუა სახელიანი კაცი იყო ცახში. სამეზობლოში დაფასებული, ჭკუის საკითხავი, ჭირსა და ლხინში თავკაცი. მშობლიური რაჭის მთასა და მიწაზე შეყვარებულს, იმასაც ის დარდი უღრღნიდა გულს, რაც ამ კუთხის ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს: გულსა ტკენდა ჯვარედინად აჭედილი კარფანჯრებიანი სახლების სიმრავლე. თუ გვიშველის, ბევრი შვილი გვიშველისო. — ამბობდა და ყველა ქორწილი ღვთის მადლად მიაჩნდა, შინაბერა და ბერბიჭა კი ღვთის რისხვად. თვითონ ექვსი შვილის მამა იყო და ეამაყებოდა კიდეც. მაგრამ, როცა შვილებიდან ვერც ერთმა ვერ მოუყარა თავი ამდენ ნაშიერს, ხოლო სიყრმის ძემ — ევტიხიმ, მხოლოდ ერთი შვილიშვილი შესძინა, უკვე ხანდაზმული ფილიმონა სხვა სასიცოცხლო ძარღვს ჩაეჭიდა: ბევრი თუ არ გვყავს, ამ ერთმა უნდა იბევროსო, ამბობდა და პატარა ყიულიც იმთავითვე საგლეხკაცო საქმეს აზიარა.

ასე მოირგო უფროსი ძმის ხალათივით შვილიშვილმა თოხიც, სამწყემსურიც, ტყისჭრაცა და მეხრეობაც... პირველყოვლისა, წესრიგის კაცი იყო ფილიმონა და გვარის გამგრძელებელს ცხოვრებით ნაკარნახევი მარტივი სიბრძნით კვებავდა.

— სკა არის წესრიგის განსახიერება, ფუტკარი — წესიერების ნიმუშიო, ასი კაცი რომ ესტუმროს სათაფლიას, ეს დალოცვილი მაინცდამაინც დაუბანელსა და ღვინონასვამს მოძებნის და დაკბენსო, — უქადაგებდა შთამომავალს, თანაც ფხიზლად ადევნებდა თვალს და ყველა მისი ნახელავის მართლაც უმკაცრესი შემმოწმებელი იყო.

ბაბუასგან სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ყიულის ტყის სიყვარულიც შემორჩა („მაგი თუ გაჩანაგდა, დადაშენდება რაჭა“) ფრონტგამოვლილი მამისაგან კაცურკაცობის შეგონება („ისეთი სანდო და გამტანი უნდა იყო, დაზვერვაზე წასვლისას პირველს აგირჩევდნენ თანამებრძოლნი“), ისტორიის მასწავლებელ გრიგოლ ბაიაძისაგან — ქვეყნის სიყვარული („ადამიანის უმაღლესი ღირსება პატრიოტიზმია“)... და ასე, დღენიადაგ დასაქმებული, საინტერესო ადამიანების გარემოცვაში იზრდებოდა ერთი პატარა ჯოხონელიძე. იზრდებოდა, მართლაცდა ამქვეყნიურ სამთხეში, რაჭა რომ ჰქვია, ანდა, უფრო ზუსტად, სოფელ ცახად რომ იწოდება.

რვა კლასი ხუთებზე დაამთავრა; მერე ნამანევის საშუალო სკოლაც წარმატებით დაასრულა და თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე სცადა ბედი... არ გაუმართლა. ისევ ცახში დაბრუნდა და კოლმეურნეობაში მწყემს-მწველავად დაიწყო მუშაობა.

ჩვენი ნაცნობობაც სწორედ იმ წლებში დაიწყო.

...ტელევიზიის გადამღები ჯგუფი სოფელ თხმორში ფერმის ახალგაზრდა მუშაკების შესახებ კინოსიუჟეტს ამზადებდა.

— აი, ძმაო, ნაღდი რაჭველი ბიჭი, — ამბობს რეჟისორი ელდარ ორჯონიკიძე. — შეხედეთ, დააკვირდით, მიხრა-მოხრა, ლაპარაკი...

მართლაც ჩინებული გამოდგა რაჭაში გადაღებული ფირი. მაგრამ კიდევ ერთხელ რომ არ შევხვედროდით ერთმანეთს, ცხადია, ჭაბუკი ასე არ შემორჩებოდა მეხსიერებას.

მეორედ, ეს იყო 1963 თუ 1964 წელი, „მოამბის“ რედაქციის გადაცემაში მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის სტუდენტი, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე ყიული ჯოხონელიძე... მერე კი ის ჭაბუკი თითქმის მეოთხედი საუკუნით გაქრა მხედველობის არიდან შარშანდელ დიდთოვლობამდე.

დიდთოვლობა დიდი უბედურებით დაიწყო... ცუდ ამბავს ყორნის ფრთები აქვსო, — უთქვამთ. გამთენიისას უკვე მთელმა ამბროლაურმა იცოდა, ჭრებალოში მეწყერი რომ მოწყდა და ვაწაძეების ოჯახი ჩამარხა. მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა. ჭრებალოსაკენ მიმავალ გზაზე ნისლიან რიბირაბოში იკვეთებოდნენ ჩაფიქრებული, შუბლშეკრული ნაცნობი სახეები. მიდიოდნენ მოხუცები, ქალები, კაცები, მოზარდები, ბავშვებიც კი... იქნებ რაიმე ეშველათ გასაჭირში ჩავარდნილთათვის.

ცხადია, არც ერთი მათგანისათვის არავის უბრძანებია, ასე მოიქეცით! ეს იყო გულის კარნახით, ადამიანობის უმაღლესი შეგნებით გადადგმული ნაბიჯი.

სტიქიასთან არ ხუმრობენ. საფრთხეში ჩავარდნილები ჭეშმარიტად დიდი რისკის ფასად გადაარჩინეს. თავგამოდებულთა იმ პირველ ჯგუფს ათობით გაბედული ვაჟკაცი შეემატა. წელამდე ტალახში ჩაფლულნი მდუმარედ იქნევდნენ ნიჩბებს. თითოეულმა მათგანმა უთქმელად იწამა, რომ ტექნიკა უძლური იყო ახლა, რომ ისინი, ვინც სახლის ნანგრევებს ქვეშ მოექცა და ზედ ქვა-ღორღი აყრია, მხოლოდ და მხოლოდ ნიჩბების, წერაქვებისა და ლომების მოზომილ ხმარებას უნდა ეხსნა.

ჯერ კიდევ დილა იყო, დედა და შვილები ნანგრევებიდან და ზედნაყარი კლდის ნაშალიდან რომ ამოიღეს. მეცხრეკლასელი ლელა უმალ რაიონის საავადმყოფოსკენ გააქანეს. დედას და ცხრა წლის რატის კი ვეღარაფერი უშველიდა...

იმ ოროტრიალში გადავეყარე ტალახში ამოთხვრილ, უბრალო ნაჭრით ხელშეხვეულ ყიულის...

ასე დაიწყო მძიმე დღეების ქრონიკა.

...სისხამზე მოყინულ თოვლზე თხილამური ხრაშუნით მიცურავს, მაგრამ მგზავრებმა იციან, ასე ორ-სამ კილომეტრს გაგრძელდება. მერე დაიწყება აღმართები

მართლაც საფორთხი გზაა. ხის დაბალი ტოტებისა და საკუთარი ძალის იმედი თუ არ გექნა, შეიძლება, ხევში გადაიჩეხო.

— და პატრონიც ვეღარ აგკრეფს, — ვითომ ხუმრობს გივი.

გივი ჭოხონელიძე, სატყეო საწარმოს მუშა, ჟიულომ საგანგებოდ აირჩია თანამგზავრად. ხალისიანი ვაჟკაცია. ახლაც ენაკვიმატობს, თორემ განა სხვებზე ნაკლებად ადარდებს, რა ხდება იქ, ზევით, თხმორში?!

შეღამებულზე ბარიდან (ასე იწოდებოდა იმ დღეებში ამბროლაური) ხალხის ამოსვლამ გაახარა თხმორელები. მითუმეტეს, რომ სოფელში ზამთრობით ძირითადად მოხუცები რჩებიან და ორი მუშა კაცის შემომატება, მართლაც დიდ რამეს ნიშნავს. ვაჟკაცებმა თოვლში გამომწყვდეულ სოფელს ყველაზე დიდი სიხარული — იმედი ამოუტანეს. გზები გაკვალეს, მეცხოველეობის ფერმა შეაკეთეს...

სტიქია კი არ ცხრებოდა.

გვიან ღამით სოფელ ჩორჯოში დაიმეწყრა ყიფიანებისა და ონაშვილების უბნები. ზოგიერთს იქნებ მეწყერი განსაკუთრებით საშიშ მოვლენად არც კი მოეჩვენოს, მაგრამ თუ წარმოიდგენ დამსკდარ მიწას, რომლის ნაპრალებშიც თვალს ვეღარ ჩაუწვდენ, თანაც თუ ეს ხახადაღებული უფსკრული თანდათან სულ უფრო მეტად ფართოვდება, აი, მაშინ შეიძლება მიხვდე, რა ჯოჯოხეთიც იმალება ამ ერთი სიტყვის მიღმა...

იქ, ჩორჯოში, დამეწყრილ ღრმულებში ლავა დაიძრა. შიგ დანგრეული სახლები ტივტივებდა. მოსახლეობა მოსწყდა გარე სამყაროს. ამ უბედურების დროს მშველლად მოვლენილ აქტივისტებს, რომელთა შორის ჟიულიც იყო, მოხუცები, ბავშვები და ქალები ჰყავდათ გადასარჩენი (სხვა ყველაფერი, რასაც მატერიალური ფასეულობა ჰქვია, ახლა მეათეხარისხოვან საქმედ გადაიქცა). მუხლჩაუხრელად იმუშავეს, სანამ მეწყერის ტოტებზე საცალფეხო „ბილიკებს“ დააწყობდნენ. მაგრამ ეს მაინც არ იყო ყველაფერი. ამ უმწეო ადამიანებს, ანდა შედარებით ახალგაზრდებს (ოღონდ შიშით დაზაფრულთ), გვერდში ამოდგომა, ხელის ჩაჭიდება და სამშვიდობოზე გაყვანა სჭირდებოდათ.

ჟიული ჭოხონელიძეა ამ ნარკვევის გმირი, მაგრამ რაკი იმ მძიმე დღეებზე ვსაუბრობთ, მარტო მისი გარჯილობით ვერ შემოვიფარგლებით.

გამოხდება ხანი. მოგონებად იქცევა ეს ზამთარი, მაგრამ ამ განსაცდელს რომ გაიხსენებენ, სხვებთან ერთად ჟიული ჭოხონელიძეც სიამაყით იტყვის, იმ მძიმე დღეებში ამბროლაურში ვიყავიო... მაშინ რაჭაში ყოფნა ბუნებასთან პირისპირ შებმას და სტიქიაზე გამარჯვებას ნიშნავდა.

ამონაწერი ოფიციალური დოკუმენტიდან: „წლევანდელმა წყალდიდობამ და მეწყერიანობამ ამბროლაურელ მშრომელებს მკაცრი გამოცდა მოუწყო. წაილეკა ნათესები, ბაღ-ვენახები, მინდვრები, დაინგრა საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობის ფერმები, საცხოვრებელი სახლები, მოიშალა სატელეფონო კავშირი, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა კომუნიკაციები. სოფლები—ბარეული და ჩორჯო მთლიანად დაიმეწყრა. საშიში ადგილებიდან გაყვანილი იქნა 200-ზე მეტი ოჯახი...“

ქვემო სევაა ფხაკაძეების, ნეფარიძეების, კაციტაძეების, ჯაფარიძეების მრავალჭირნახული სოფელი. მსგავსი ღვთისწყრომა აქაურობას არასდროს გადახდომია თავს. თითქოს ამ ზამთრის ავზნეობა არ იკმარაო, გაავებულმა კრიხულამ ჯერ გადაუღებელი წვიმების დროს, მერე კი სიცხეების ჩამოდგომისას თოვლის ნადნობით თავი რომ მოიგიჟიანა, წალეკა საავტომობილო გზა, საშიშროება შეუქმნა მდინარე ხოტეურას ხიდის ბურჯებს. დილიდან საღამომდე წყალში იდგნენ დამცავი ჯებირის ასაგებად ოთარ დოლიძის ბრიგადის წევრები, გზაზე კი გზის ოსტატის ზაალ ჯაფარიძის ჯგუფი შრომობდა.

ჭრებალოს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს — ქვედა ჟოშხასა და გენდუშის მუდამ აწუხებდა მეწყერული მოვლენები. ახლა კი, რომ იტყვიან, მიზეზიც საფუძვლიანი გაჩნდა. ადგილობრივი ძალები და დასახმარებლად მოსული მუშახელი საქმეს ვერ აუთავდა. ჭელიაღელეში იულონ დონაძის, ნიკოლოზ ბიბილაშვილის, სერგო ჭელიძის ბრიგადებმა უკვე დაატყვეს სიკეთის ხელი იავარქმნილ ნაგებობებს. მწყობრში ჩააყენეს „ღორწყოლის“ საძოვარზე ფერმა, ხელახლა საიმედოდ გაჭრეს და მოხრეშეს სოფელ უყეში მისასვლელი გზა. სამუშაოთა მწარმოებლის ვაჟა ჭელიძის, ოსტატ გურამ ღოღოლელიანის თანამოსაქმენი დიდსა და მძიმე სამუშაოს ასრულებენ. მდინარე ლუხუნისა და რიონის გადაკვეთაზე მოდიდებულმა მდინარეებმა მოგლიჯეს მაღალი ძაბვის ელექტროგამტარების საყრდენი ბოძები და სოფელი მუხლი უსინათლოდ დარჩა. სტიქიამ ძირს დასცა კვაცხუთიდან ხიმშისაკენ დონაძეების უბანში რიონის გადამკვეთი ელსადენი გამტარების რკინის ბოძები. რიონმა წალეკა ჭრებალოდან ბაჯში მდინარის პირას გამავალი გადამცემი ხაზების საყრდენები. გ. დათეშიძის ელექტრიკოსთა რაზმის წევრები შოთა თომაძე, აბელ დავითულიანი, მერაბ მომცემლიძე, ანზორ ჭელიძე, ევტიხ ბიწაძე მართლაც რომ დღე და ღამეს ასწორებენ.

ვიღაცამ კარგად თქვა, არ არსებობსო ნამარი ვაჟკაცის სხეულზე დარჩენილ იარაზე უფრო ლამაზი სამკაული... იგივე ითქმის ქვეყანაზეც: რაჭა უფრო ძვირფასი, უფრო საყვარელი გახდა სტიქიონის დართგუნვის შემდეგ.

...ვიდრე რიცეულამდე მივიდოდი, სადაც სატყეო მეურნეობის მუშები აღდგენით სამუშაოებს აწარმოებდნენ, უკვე ვიცოდი ჟიული ჭოხონელიძის ცხოვრების ის მონაკვეთიც, როცა ინსტიტუტი დაამთავრა და, ამბროლაურში აბრუნებულმა, წესურის ხეობაში სატყეო მეურნეობაში დაიწყო მუშაობა ხე-ტყის დამზადების ოსტატად. მერე სატყეო მეურნეობის მეტყევე ეკონომისტი, ჭრებალოს სატყეოს უფროსი, თხმორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე...

— ათი წელია დღემდე აქ ვმუშაობ, — მექანიზებულ სატყეო მეურნეობაზე თქვა.

— სტიქიისაგან ერთ-ერთი მძიმედ დაზიანებული ობიექტია. 500 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა მას დიდთოვლობამ, ზვავმა თუ მეწყერმა.

რიცეულში კდისუბნის ოთხკილომეტრიან წყალსადენზე მუშაობა მთავრდებოდა. იუზა ოშხერელი, მერაბ დვალაძე, გივი ჯოხაძე მებულდოზერეების მოსვლას ელოდნენ, რომ უკანასკნელი გზასავალიც გაეწმინდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის დირექტორმა მწვანე ყდიანი უბის წიგნაკი დააძრო:

— მოთავებულად შეიძლება ჩავთვალოთ ხომ ეს წყალსადენიც, — ჩაილაპარაკა მან და ოშხერელისაკენ გაიხედა.

— შეიძლება, — ღიმილით უქნევს თავს იუზა.

და უჯრედებიან ფურცელზე, იქ, სადაც უკვე წერია რიცეული-წესურის რვაკილომეტრიანი გზა, ურავის შვიდკილომეტრიანი გზა, ფართო ამოხმარების საამქროს ახალი სახურავი, ხე-ტყის დამზადების უბნებში დროებითი ბინები, ახალი სამანქანო ხიდი მდინარე რიცეულაზე, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ჩანაწერი: წყალსადენი.

ეს ყველაფერი, ასე ვთქვათ, წინასწარ გაუანგარიშებელი სამუშაოებია, მაგრამ, ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს, თავი აარიდოს წარმოებამ ძირითადი გეგმების შესრულებას.

სწორედ ამის შესახებ ვსაუბრობდით, როდესაც ჟიული ჭოხონელიძეს დაუძახეს. იგი წავიდა და მე მუშებთან დავრჩი. როლები შეიცვალა. ახლა ისინი მეკითხებოდნენ:

— ეს მართალია, რომ ყველა კოლექტივმა უნდა აირჩიოს ხელმძღვანელი? — მეკითხება მერაბ დვალაძე.

— ასეა. ასეთია დემოკრატიზმის პრინციპი.

— ჩვენც მოგვიწევს აბა ამნაირი არჩევნები? — ახლა გივი ჯოხაძე დაინტერესდა.

— ალბათ...

— მოგვიწიოს, რა, ისევ ჟიულიკა იქნება დირექტორი, — ამბობს იუზა კერესელიძე.

და აქ ისევ ჩემი ჯერი დადგა:

— რატომ ფიქრობთ ასე?

— იმიტომ, რომ ეგ კაცი კარგი ხელმძღვანელია და თავის ადგილზე ზის, — ისევ იმან, ოშხერელმა მიპასუხა. მაგრამ აშკარად ვიგრძენი, თითოეული მათგანის აზრი იყო ეს.

გივი ჭელიძე,
ამბროლაურის რაიონული გაზეთის
„კომუნიზმის დროშის“ რედაქტორი.

ქართველი მუშკეტერი

ძიებანი, აღმოჩენები, ვარაუდები

1884 წელს ჟურნალ „ისტორიჩესკი ვესტნიკში“ (ტომი 17) დაიბეჭდა მეტად საყურადღებო ცნობა. სახელოვანი რუსი ისტორიკოსი, სიძველეთა საუკეთესო მცოდნე ვ. ი. კუშნიკოვი წერდა: „თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი საქართველოდან პეტერბურგში ჩამოვიდა 1782 წელს. იგი მაშინ 18 წლისა იყო. ბაგრატიონი გაჩერდა კნეინა ანა ალექსანდრეს ასულ გოლიცინას, გრუზინსკაიას სახლში, რომელმაც იგი საქართველოდან გამოიწვია სამსახურში გასამწესებლად. მეორე დღეს, როცა სადილობდა თავად პოტიომკინთან აგარაკზე, დედაქალაქიდან 13 ვერსზე, პეტერგოფის გზაზე (შემდეგ ალექსანდრე ნარიშკინის გზა გახდა) კნეინა გოლიცინამ სთხოვა პოტიომკინს, ახალგაზრდა ბაგრატიონი აეყვანა თავის მფარველობაში. პოტიომკინმა დაუყოვნებლივ გაგზავნა მის მოსაყვანად შიკრიკი. ღარიბ ჭაბუკს, რომელიც ის იყო, ჩამოვიდა შორეული მხარიდან, ჯერ რიგიანი ტამსაცმელიც არ ჰქონდა. მან არ იცოდა, როგორ გამოცხადებულიყო პოტიომკინთან. კნეინას მსახურთუფროსმა კარელინმა იგი გამოიყვანა ძნელი მდგომარეობიდან და ათხოვა საკუთარი ტანსაცმელი. ბაგრატიონი შიკრიკთან ერთად აგარაკისაკენ გაეშურა. ტანმორჩილი, ფერმკრთალი, ხმელ-ხმელი ბაგრატიონი მსახურთუფროსის ტლანქ ხიფთანში გამოწყობილი მოკრძალებულად, მაგრამ არა გაუბედავად წარუდგა „თავრიზის თავადს“ ბრწყინვალე საზოგადოების თანდასწრებით. პოტიომკინმა არწივისებური მზერა ესროლა უსახელო ჭაბუკს და ღირსყო, დალაპარაკებოდა. ბაგრატიონის პასუხით კმაყოფილმა, მიულოცა მას პროპორშჩიკობა და უბრძანა, არმიაში გამგზავრებულიყო“.

ამ ცნობაში ორჯერ არის ნახსენები სიტყვა „საქართველო“ და არა „კავკასია“, სწორედ „საქართველო“. იყო თუ არა ამის შემდეგ ბაგრატიონი საქართველოში, ცნობილი არ არის. თუმცა მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, რასაც მოწმობს მისი წერილი თავად ოთარ ამილახვრისადმი, რომელიც დაწერილია უშეცდომოდ, ქართული კალიგრაფიული ხელწერით და გამოხატავს ზრუნვას მშობლიური მხარისათვის (წერილი ინახება თბილისში — ხალხთა მეგობრობის მუზეუმში).

ცნობილია აგრეთვე ცხარე ბრძოლების პერიოდით (1803, 1804, 1806, 1810, 1811 წლები) დათარიღებული მისი მიმოწერა საქართველოსთან და ქართველებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ანა გოლიცინა-გრუზინსკაია ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. ზოგიერთი ბაგრატიონი — ქართველი მეფის ბაქარის შთამომავალნი, რომლებიც რუსეთში გაემგზავრნენ 1724 წელს, გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

პეტრე ბაგრატიონის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. ჩვენ ვიცით მისი სიკვდილის დღე და საათიც კი, მაგრამ არ ვიცით ზუსტად მისი დაბადების არც დღე და არც წელი. დაახლოებით კი 1765 წელს უნდა იყოს დაბადებული ყიზლარში.

ყიზლარში არის პ. ბაგრატიონის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ხსოვნას ახლა მხოლოდ სახელწოდება გამოხატავს. მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი ნამდვილი, მემორიალური არ შემოხახულა. თუმცა არის საინტერესო დოკუმენტები საქართველოდან აქ პეტრე ბაგრატიონის პაპის გადმოსახლების შესახებ. მუზეუმის დირექტორს ვ. ოლეინიკს იმედი აქვს, რომ ადგილობრივი რუსულ-ქართული ჯვართმაღლების მონასტერში დაცულ ექვსი ათას ერთეულში, რომლებიც ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის, რაიმეს იპოვის. ეს ექვსი ათასი „ერთეული“, რომლებიც საუკუნეების მტვერითაა დამძიმებული, დღემდე ხელუხლებლად ძევს და კვლავ იმტვერება დაღესტნის სახელმწიფო არქივის თაროებზე(!). ცნობილია, რომ ბაგრატიონი ბავშვობაში სწავლობდა საეკლესიო სკოლაში, ბიძამისი პავლე ალექსანდრეს ძე კი ამავე ეკლესიის წინამძღვარი იყო, მაგრამ მღვდელი პეტრე ბაგრატიონიდან არ გამოვიდა. „დედის რძესთან ერთად, — წერდა მოგვიანებით იგი, — შევიწოვე მხედრული გმირობის სულისკვეთება“.

ჯარის რომელ ნაწილებში დაიწყო მსახური პეტრე ბაგრატიონმა? ბორის ანდრიას ძე პოტიომკინის — გრიგოლ პოტიომკინის ბიძაშვილის განკარგულებით ჭაბუკი არა პროპორშჩიკად, არამედ სერჟანტად ჩაირიცხა კავკასიის მუშკეტერთა პოლკში, რომლის მოვალეობას შეადგენდა რუსეთის საზღვრების დაცვა მდინარეების ყუბანისა და თერგის გაყოლებაზე. მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით, ამ პოლკს ეწოდებოდა გენერალ-მაიორ გულიაკოვის ქართველ მუშკეტერთა პოლკი და იგი საქართველოს ტერიტორიას იცავდა ლეკთა და ჩეჩენთა განუწყვეტელი თავდასხმებისაგან. არის ცნობები, რომ ამ პოლკს ერქვა აგრეთვე თბილისის მუშკეტერთა პოლკი. ამას აღნიშნავს, მაგალითად, სამხედრო ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნ. დუბროვინი.

ქართული საზოგადოების თხოვნით, როგორც გენერალი ვ. ა. პოტო წერს, ბორის პოტიომკინი ეწვია ქალაქ თბილისს და „პირადად დარწმუნდა მხარის საგანგაშო მდგომარეობაში... და დატოვა აქ გენერალ-მაიორი სამოილოვი. უბრძანა მას, დიდი ექსპედიცია მოეწყო ალაზნის გაღმა, რომ ცეცხლი და მახვილი შეეტანა ლეკთა მხარეში“.

1784 წლის 14 ოქტომბერს კახეთიდან გამგზავრებულმა ქართველ მუშკეტერთა ექსპედიციამ სოფელ მუღანლოს ახლოს დიდი ბრძოლა გაუმართა ჩეჩნებს, რომლებიც ალაზანს გაღმა გაიქცნენ. ამის შესახებ ვ. ა. პოტო წერს: „სამოილოვი მიადგა ალაზანს, გაჩერდა რამდენიმე დღეს, სანამ ბოლოს და ბოლოს, აქ მოვიდოდა თავად მეფე ერეკლე II ქართველთა ლაშქართან ერთად, რომელიც შედგებოდა წარჩინებული თავადებისა და რჩეული მხედრებისაგან... მეფე ქართველ ცხენოსნებთან ერთად, [illegible] ყაზახები — ყველანი წინ [illegible]“.

ბრძოლაში მონაწილეობდა მუშკეტერთა პოლკიც და, როგორც ყველა ბიოგრაფი ადასტურებს, პეტრე ბაგრატიონიც იბრძოდა ჩეჩენთა წინააღმდეგ 1783, 1784, 1785 და 1786 წლებში. მან თავი გამოიჩინა, როგორც გულადმა და მამაცმა მეომარმა. ცნობილია, რომ იგი ვაჟაკურად იტანდა სამხედრო ცხოვრების სიძნელეებს და მტერთან მკაცრი ბრძოლების შედეგად მიღებული გამოცდილებით ყურადღებით სწავლობდა მხედრულ საქმეს. ამ ბრძოლებში პეტრე ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა. ასე რომ, ცხადია, იგი ქართულ მიწა-წყალზე იბრძოდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

ბ. ა. პოტიომკინის ამალა თბილისში ჩამოვიდა და სამოილოვის ჯარებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნა გამარჯვება. ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის თქმით, ჩეჩნებთან და ლეკებთან ბრძოლებში დაღუპული გმირები მიწას მიაბარეს „ხარების კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც იდგა ახლანდელი კათოლიკეების ქუჩაზე, სომხური ბაზრის მიდამოებში“ (ამჟამად ლესელიძის ქუჩის უბანი). ამ ამალაში იქნებოდა პეტრე ბაგრატიონიც, რადგანაც ბ. ა. პოტიომკინი თავის ამალაში მხოლოდ და მხოლოდ იმათ რიცხავდა, ვისაც პირადად იცნობდა და ვისაც თავად, ან გრიგოლ პოტიომკინმა მისცა რეკომენდაცია.

1788 წელს რუსეთის ჯარებმა ალყაში მოაქციეს თურქეთის ციხესიმაგრე ოჩაკოვი შავი ზღვისპირას. შტურმის დროს ქართველმა მუშკეტერმა პეტრე ბაგრატიონმა დიდი მამაცობა გამოიჩინა, პირველთა შორის შეიჭრა ციხესიმაგრეში. შემდეგ იგი კვლავ კავკასიაში დაბრუნდა. მუშკეტერთა ჯარებში იგი მსახურობდა 1792 წლის ივლისამდე და განვლო ყველა საფეხური სერჟანტიდან კაპიტნამდე. 1794 წლის 15 (26) ოქტომბერს იგი გაამწესეს პოდპოლკოვნიკად. 1798 წელს გახდა პოლკოვნიკი, ეგერთა მეექვსე პოლკის მეთაური, და მომდევნო წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. მონაწილეობდა რუსეთის არმიის ცნობილ ლაშქრობებში იტალიასა და შვეიცარიაში. ასე დაიწყო მისი მხედრული ბიოგრაფიის ახალი ფურცელი.

რევ დავიდოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე ბაგრატიონის ძეგლი თბილისში.

ფოტო თარხან არჩვაძისა

წვიმიანი დღე

ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაცია.

ძველი თბილისის კუთხე

თენგიზ სამსონაძე

საქართველოს სხრ სახალხო მხატვარს თენგიზ სამსონაძეს 60 წელი შეუსრულდა. დღეს ღვაწლმოსილი მხატვარი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ზოგადი ფერწერის კათედრის ხელმძღვანელობს, აგრეთვე თანამშრომლობს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში.

სამი ათეული წელია ჟურნალ „დროშის" ფურცლებზე იბეჭდება თენგიზ სამსონაძის მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ილუსტრაციები, გრაფიკული თავსართები. მხატვარს დიდი წვლილი შეაქვს ჟურნალის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

ჟურნალ „დროშის" კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია ულოცავს ნიჭიერ მხატვარს და სპეტაკ მოყვარეს ამ ლირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს მას დიდხანს სიიოლოცვლისა და შემოქმედებით წარმატებებს.

თეთრი ხეები

თეატრალური სამკერვალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ანდრონიკაშვილის კოლექცია

ნატალია გონჩაროვა

თბილისში ერთი სახლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლექცია ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ერთგვარი, შინაარსობრივად ერთნაირი სახეობის ნივთების შეგროვებას.

კოლექციონერი სხვადასხვაგვარია. არის ისეთი, ვინც ძველებურ ჭურჭელს და სხვა ნივთებს ყიდულობს პრესტიჟისათვის ან ფასეულობის დასაბანდებლად — მისგან ბევრს ვერაფერს ისწავლი. მაგრამ არის სხვაც... და იმ „სხვამ“, გასული საუკუნის ფინჯანს რომ ყიდულობს, იცის ის ეპოქა, როცა ეს პატარა შედევრი შეიქმნა, იცის იმ ეპოქის სტილი, მიმართულება და საათობით შეუძლია ამ ნაკეთობაზე საუბარი.

თბილისში, ძერჟინსკის ოთხ ნომერში, ცხოვრობს მიხეილ ანდრონიკაშვილი — რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ამ კაცის დედა გამოჩენილი რუსი საზოგადო მოღვაწის, მოაზროვნის, პოეტისა და რევოლუციონერის ნ. ოგარიოვის შვილთაშვილი იყო. დედისაგან დანატოვარი ნოტებით, შნედერის ფირმის პიანინოთი და სხვა საგვარეულო ნივთებით დაიწყო სიცოცხლე იმ კოლექციისა, რომელიც აგერ უკვე ორმოცი წელია მნახველის აღფრთოვანებას იწვევს.

კოლექციას, როგორც ადამიანებს, თავისი ბედ-იღბალი აქვს.

მიხეილ ანდრონიკაშვილის მინიატიურულ მუზეუმში ყველაფერი უკიდურესი აკურატულობითა და გემოვნებითაა დალაგებული. მასპინძელს უყვარს თავისი კოლექციის ჩვენება. ხალისით ღებულობს სტუმრებს, უამბობს მათ თითოეული ნივთისა თუ სურათის ისტორიას, აცნობს ავტორის შემოქმედებას. ამავე კოლექციას არიდებს არამარტო მტვერსა და მზის სხივებს, იცავს ცივი და გულგრილი მზერისაგან. სახლში არ შემოუშვია არც ერთი გადამყიდველი. რუსულის, ფრანგულისა და იტალიურის მცოდნე, წარსულში ხმატკბილი ტენორი და უბადლო პედაგოგი, მუსიკის, მხატვრობის, ბალეტისა და თეატრალურ ლუდოვიკოს ეპოქების ზედმიწევნით მცოდნე, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გატაცებით, ენთუზიაზმით ეძებდა, პოულობდა და ინახავდა ისტორიის სახალხო ხსოვნას.

აქ, ამ ორ ოთახში, თავი მოუყრიათ სამოთხის ჩიტებს, ყვავილებს ჯადოსნური ბაღიდან. ფაიფურის ვარდისფერი ტიტები შავ ჩინურ ლარნაკში საოცარ ჰარმონიაშია სახელგანთქმულ გარდნერის სერვიზთან, ძველებურ ავეჯსა და ქართულ ხატებთან. ირგვლივ ყველაფერი ვარდის, ოქროს, ცისა და მზის ფერია. ამ პატარა ინტიმურ მუზეუმში წარმოდგენილია ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის ადამიანს მოეწონება. მიუხედავად ექსპონატთა მრავალფეროვნებისა, მაინც ჩანს, რომ ეს ყველაფერი ერთი პიროვნების შეგროვილია და ერთი პიროვნების გემოვნებასა და მისწრაფებას გამოხატავს. შეუძენია მხოლოდ ის, რაც სწვდება მისი სულისა და გონების სიღრმეს, რაც იწვევს მასში აღფრთოვანებას, აამებს თვალს, რაც მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს. ამ საქმეში კი მეგზურად დიდი გახათლება, ღრმა ინტელექტი, ნატიფი ალღო და ეპოქათა ცოდნა დახმარებია.

მის მუზეუმში, ისე როგორც ცხოვრებაში, მთავარია მოულოდნელი, პატარა სიხარული.

აი ვარდისფერი, ოქროთი მოსევადებული ციცქნა ფინჯანი! დგას თავისთვის ნაზი, სიფრიფანა. მის საიდუმლო ხვეულებში მუსიკა ჟღერს. იგი თითქოს უჩუმარ მელოდიას გამოსცემს. მაგრამ როგორც კი მზერას მოაშორებ და სხვა საგნისაკენ გადაინაცვლებ, იდუმალი ძალით გიხმობს უკან და გეწევა თავისკენ. 1709 წელს ეს ფინჯანი რომ შექმნა, გერმანელმა ალქიმიკოსმა იოჰან ფრიდრიხ ბიოტგერმა, რკინისგისოსებიანი საკანი მიიღო, ევროპამ კი — დიდი ხნის ნანატრი ფაიფური.

გერმანელების აღმოჩენამ აღაგზნო პატივმოყვარე და ფუფუნების მოყვარული ფრანგები. მაგრამ საფრანგეთის მიწაში რომ კაოლინი არ იყო? მაშინ დაიწყო მისი შემცვლელის ძიება. გავიდა ხანი და 1720 წელს ლუდოვიკოს ძმამ სენ-კლუში დააარსა ფაიფურის პირველი მანუფაქტურა. ხუთი წლის შემდეგ პრინცმა კონდემ შანტიიში გახსნა თავისი სახელოსნოები. 1735 წელს ჰერცოგმა ვილერუამ მენესში ხელი მოჰკიდა ფაიფურის წარმოებას. კიდევ სამი წელი და ამ ციებცხელებაში ჩაება ვენსენი. ლუდოვიკო მეთხუთმეტემ უყოყმანოდ გახსნა ხაზინა და 50 ათასი ლივრი, ე. ი. ოც მილიონამდე თანამედროვე ფრანკი გაიღო ამ საქმისათვის.

და აი, 1741 წელს ვენსენში ფრანსუა გრავანის ოსტატობით დამზადდა პირველი სასოუსე — ურთულესი ფორმის, ბაროკოს სტილში შესრულებული „პატ ტანდრი“ — რბილი ფაიფური. ეს სასოუსე დღესაც განაცვიფრებს მნახველს. გრან-პალეში, 1978 წელს მოწყობილ ფრანგული ფაიფურის გამოფენაზე იგი მარადიული მშვენიერების სიმბოლოდ აღიარეს.

1746 წლიდან ვენსენის ფაიფური უკვე იყიდება. ეს იყო ჯადოქარი ოსტატების მიერ ოქროთი ნაკეთები ფაიფურის ქანდაკებები, ჭურჭელი, ლარნაკები და ყვავილები, რომლებსაც ფერებითა და ფოთოლთა ხვეულებით ცოცხლისაგან ვერ გაარჩევდით.

1756 წელს პომპადურმა მანუფაქტურას საჩუქრად გადასცა სენის სანაპიროზე, ქალაქ სევრში ბელვიუს ციხესიმაგრის შემოგარენი. აშენდა ახალი ქარხანა. 1768 წელს კი საფრანგეთში, ლიმუზინის მახლობლად, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინეს კაოლინი. იმ დღიდან სევრში დაიწყეს მაგარი ფაიფურის გამოშვება. ლუდოვიკო მეთექვსმეტის დროს სევრის პროდუქციის ფორმები სავსებით შეიცვალა. მაგარი ფაიფური იდეალურად ერწყმოდა ნეოკლასიციზმის მკვეთრ, გეომეტრიულ ხაზებს. მარია-ანტუანეტას კარზე ანტიკური შედევრებით გატაცებული მაღალი წრის სალონებს ამშვენებდა სევრის საფირმო ფერი — მსუბუქი, გამჭვირვალე, ჰაეროვანი, განუმეორებელი, ოქროთი შეზავებული ცისფერი. ამ ნაკეთობათა ოსტატებს ზღაპრულად დიდ ჯამაგირს უხდიდნენ.

1789 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ აიღო ბასტილია და დაამხო მონარქია. არისტოკრატიას მდიდრული სერვიზებისათვის აღარ სცხელოდა, შეკვეთები შეწყდა და სევრი დაღუპვის გზაზე დადგა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში მანუფაქტურას მხსნელად მოევლინა ზღაპრულად დიდი ანაზღაურება რუსეთიდან, რომლითაც გამოისყიდეს ეკატერინე მეორის დროს შეკვეთილი ცნობილი „კამეებიანი ფირუზის სერვიზი“. ამ სერვიზის რამდენიმე თეფშისა და ფინჯნის ნახვა შეგიძლიათ მიხეილ ანდრონიკაშვილის კოლექციაში.

...ამ ფერადი ბროლის სურაში კი სინათლე ცხოვრობს, ფერთა მთელი სპექტრით დამუხტული. იგი როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ისე ეხმაურება გარემოს. ფონს შავი ხის, სპილოს ძვლით ნაკეთები იაპონური შირმა უქმნის. გვერდით მარკიზა დე პომპადურის საკუთრება, 280 წლის ღამის ნათურა ამოსდგომია, ფერხთით რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის ამპირისსადგამიანი ტორშერი ანათებს. შეუცვლით ადგილს სურას და მე-18 საუკუნის პარიზული ნაკეთობის ვერცხლით მოჩუქურთმებულ სარკეში ჯადოსნურად მოკიაფე მწვანე ფერი აელვარდება, რომელიც მოპირდაპირე კედელზე იტალია-ესპანური სკოლის მე-17 საუკუნის უცნობი მხატვრის „წმინდა სებასტიანეს“ სხეულში ჩაჭედილ სასიკვდილო ისრებს შეატოკავს.

უცქერი ამას და სისხლი გეყინება. მაგრამ სულ რაღაც ათი სანტიმეტრით გადაინაცვლებ და ალბერტ ბენუასა და ევგენი ლანსერეს ტილოები დაგამშვიდებენ.

მარჯვნივ კი, ჩარჩოდან შემოგყურებს ლადო გუდიაშვილის თამარ მეფე ავტორის წარწერით; „ვიმედოვნებ, რომ ჩემი შემოქმედება თქვენს მდიდარ კოლექციაში მონახავს პატარა ადგილს მარად სულდგმულობისათვის, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას“.

აქვეა ერმიტაჟის უკანასკნელი კომენდანტის ივანე რატიშვილისაგან შეძენილი ნეაპოლის ხედები, სართიჭალაში დაბადებული გერმანელი მხატვრის ზომერის სურათები: „ივრის ხეობა“, „ორი პეიზაჟი“; ეკატერინე მეორის ნაქონი ფაიფურისვარდებიანი ლანგარი, რუსეთის მონარქთა საიმპერატორო ქარხნების იშვიათი ნაკეთობანი, მე-18 საუკუნის საოცრებანი — გარდნერის ფინჯნები, საქს-მარკოლინის ჭურჭელი, დგარიოვთა საგვარეულოს ნაქონი ბაკარა, ამპირბაკარა, ხილის ლარნაკი მოჩუქურთმებული ოქროს არშიით, ნაპოლეონისდროინდელი ფაიფურის მედალიონები, ლილისებური ბროლის 250 წლის ტორშერი, თეთრი ყვავილებით მოჩითული უძველესი შანდლები, ხატები, საცეცხლურები, მეშვეკისა და რილოვის ნახატები, კაკლის ხის ჩუქურთმაში ნაკეთები სეკრეტერი, ოქროსა და ნაფოტების ჩარჩოიანი სარკეები. აქ მხოლოდ ისეთი ნივთებია, რომელთაც ესთეტიკური ღირებულება აქვთ. მათ ძიებასა და შეგროვებას მიხეილ ანდრონიკაშვილმა ყველაფერი მოახმარა: მთელი ცხოვრება, დრო, ცოდნა...

კოლექციონერები თავიანთი თავგანწირვითა და თავდავიწყებით გვინახავენ იმას, რაც შეიძლება დროს ჩაეყლაპა. ნამდვილი კოლექცია საზოგადოებისა და კაცობრიობის კუთვნილებაა, რადგან ადრე თუ გვიან ის ხალხის სამსახურში დგება.

ლამარა თელია

ლაზალუხლა

ზალვა კინწარაშვილი

ზღაპარი

ომ გაზაფხულს, შეიდიოდე წლის წინანდელ ამბავს მოვითხრობთ, მაისის მიწურულს, ქუთაისში გახლდით.

სასტუმროში ცხოვრობდი. ყოველ საღამოს, გულთბილი და სტუმარმოყვარე ქუთაისელი მეგობრებისა და ახლობლების ვესტმრობდი. მასპინძელი — ჩინებული, სუფრა და პერმარილი — დიდებული, თამადა და თანამეინახენი — მშვენიერი, სიმღერები — ბრწყინვალეა... საოცარი ხალხია ქუთაისელები. თანდაროულობა ნაკლებად ამჩნევს მათ თავის დაღს. უკეთეს გარემოცვას ვერც ვინატრებდი, მაგრამ ქუთაისში ზომ საკმეზე ვიყავი ჩასული. ამიტომაც ერთი კვირის თავზე პერმარილებს შევეშვი და ჩემს საქმესაც მივხედე... მერე ერთ საღამოს, ქუთაისელ მეგობრებსა და ახლობლებს, ჩემს ძვირფას მასპინძლებს, ბანკეტი გადავუხადე და გამოვეშვიდობე.

მეორე დილით, საკვიაოაში ბარგი-ბარხანა ჩავალაგე, ნომერი დავცალე და სასტუმროდან გამოვედი. აეროპორტში ბილეთი ბოლო რეისზე შემხვდა, თვითმფრინავი გვიან საღამოს მოფრინავდა. მთელი დღე წინ იყო. გავიფიქრე, წყალტუბოში ჩავალ-მეთქი, მაგრამ იქ ისეთი მასპინძელი მეგულება, რამდენიმე დღით შევრჩები. მაშინ ვარჩე, აქვე, ქუთაისის მახლობლად, სოფელ მესხეთში შემევლო.

გვიანი გაზაფხულის მშვენიერი, თბილი დღეა. ბუნება და გარეთ ხარობს. იმერეთის ნიავი ჭრის საამოდ და საამურად. ასეთ დროს ქუთაისიდან სოფელ მესხეთამდე მიმავალ გზას ცხენით გაკეკნება უფრო მოუხდებოდა, მაგრამ ცხენს ახლა აქ ვინ მომგვრიდა და სად ვიშოვიდი; ტაქსით ჩავედი რამდენიმე წუთში.

აქ ღრმად მოხუცებული ნათესავი მეგულება, ქალბატონი გოგუაკა, აწ განსვენებული ჩემი ბაბის ფეიდონი ბიძაშვილი ვახლავთ. იგი ქუთაისში ცხოვრობს, თავის მიერ გაზრდილი ძმისწულის ოჯახში. ახლა კი, ზაფხულის პირას, სოფელში ჩამოვიდა, მა

ნებს, სიკვდილის არნდომას შეუპყრია ყოველი ჩვენგანი, უიშვიათეს გამონაკლისთა გარდა და ამ დროს თვითმკვლელი განთავისუფლებულია ამ საყოველთაო, დამათრგუნველი არნდომისაგან საკუთარი სიკვდილისა. ამასთან თავის მოკვლა თავის დასჯაცაა და თანაც დასჯა საკუთარი თავისა ამქვეყნიური სასჯელის უმაღლესი ზომით.

ღირსო მამაო და მოძღვარო!

ნუ იფიქრებთ, რომ პოლემიკის ენმა და წმინდა ეკლესიის თვალსაზრისთან კამათის სურვილმა ამაღებინა კალამი ხელში. არამც და არამც. მსგავსი ეშმაკისეული ზრახვებიდან, ღმერთმა დამიფაროს! პირიქით, უღრმესად მადლობელი ვიქნები, თუკი თქვენ, ღირსო მამაო, საღმრთო წერილიდან და პირველ რიგში წმინდა ოთხთავიდან გამოკრებილ შესაბამის ადგილთა დამოწმებით, გაგებათილებთ ჩემს შეხედულებას.

და ბოლოს, დავძენ, მე — თვითონვე, წმინდა ეკლესიის ვალად მიმაჩნია, რომ მისმა მსახურებმა, როგორც საჯარო ქადაგებებისას, აგრეთვე ამა თუ იმ ცალკეულ პირთან კერძო საუბრისას, უნდა

>ამონ თვითმკვლელობის სურვილი და შეძლებისდაგვარად განარიდონ ადამიანი ამ საქციელისაგან. ოღონდ, თუკი ქრისტიანი კაცი მაინც მოიკლავს თავს, ნუთუ მღვდელმა იმ კაცსა ზედა წესი არ უნდა ააგოს და ნუთუ სული თვითმკვლელისა განწირულია ჯოჯოხეთში წარსაწყმედელად უკუნითი უკუნისამდე!?...

ესოდენ სასოწარკვეთილი სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილის წაკითხვა, ალბათ, დამეთანხმებით, ვერაფერი სიამოვნების მომგვრელია, თუმცა თავისთავად საინტერესო კია. თავი უფრო იმით დავიმშვიდე, რომ წერილი შვიდი ათეული წლის წინ იყო დაწერილი და მისი ავტორი, დღესდღეობით, ასე თუ ისე, მაინც წასული იქნებოდა ამ ქვეყნიდან. ჩემთვის ისიც გაურკვეველი დარჩა, ამ საქალალდეში წერილის მეორე პირი იდო, თუ პირველი. მართლაც გაუგზავნა, ანდა უშუალოდ გადასცა თუ არა ბატონმა ლაზარემ, თავის დროზე , ეს წერილი მოძღვარს, თუ მხოლოდ დაწერა და თავისთვისვე შეინახა?! ყოველ შემთხვევაში, საქალალდეში, საპასუხო წერილი მოძღვრისა ლაზარესადმი არ აღმოჩნდა. ოღონდ თვითონ ლაზარეს წერილის მეორე გვერდზე მისივე ხელით მიწერილი იყო. ბრჭყალებში ჩასმული შემდეგი სიტყვები:

„ნუ მიჰბაძავ იმ მოციქულს, რომელმაც დაბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა, მოღებული მის მიერ მღვდელ-მთავარ-თაგან, განცემისათვის თვისის ღვთაებრივის მოძღვრისა, წარვიდა და თავი ჩამოიხრჩო.

ნუ ვინმე სასოებას წარიკვეთავ: ნუ ვინმე შთავარდები ამ სენსა ულრმოთასა, — იტყვის წმინდა იოანე ოქროპირი: — უკეთუ შთავარდები ყოველთა ცოდვათა შინა, უთხარ თავსა თვისსა, ღმერთი კაცთმოყვარეა და სურს ცხოვრება ჩვენი. უკეთუ, — იტყვის იგი, იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო (ისაია 1; 18). ხოლო ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებასა, ამისათვის რომ უფალი მრავალ-მოწყალეა, გარნა ნუ იქმნები დაუდევნელიცა, რამეთუ იგი მართალია“.

მასპინძელს სუფთა ფურცელი ვთხოვე და ის წერილი თავისი მინაწერითურთ სიტყვასიტყვით გადმოვწერე ჩემთვის. წერილი და სხვა გაყვითლებული ქაღალდები კვლავ ერთ შეკვრაში გავახვიე, როგორც იყო და კარადაში, ლაზარეს უჯრაში ჩავდე.

შემდეგ ქალბატონ გოგუცას შევეკითხე, როგორ დასრულდა ბატონ ლაზარეს ცხოვრება-მეთქი.

— მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, ძია ლაზარე ორმოცდახუთი წლის შესრულდა. ჰოდა, იმ წელიწადს, ერთ დღესაც ადგა და გადაიკარგა, — მიპასუხა ქალბატონმა გოგუცამ.

თავის ლამაზ ცოლს ასეთი ბარათი დაუტოვა: „ძვირფასო მეგობარო! გადავწყვიტე, ჩემი გზით წავიდე. ნურც ჩემი ძებნით შეიწუხებ თავს და ნურც ჩემზე დარდით. მით უმეტეს რომ, ისეთი ხვედრი არ ამირჩევია, სადარდებელი რომ იყოსო“.

მას მერე ძია ლაზარე აღარ გვინახავს.

— ქალბატონო გოგუცა, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა გზა და ხვედრი შეირჩია ბატონმა ლაზარემ?

— პირველ ხანებში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. რა არ ითქვა, ყველაფრის გახსენება ახლა აღარც შემიძლია, არც ღირს და არცაა საკადრისი. მხოლოდ უფრო საგულისხმო იმდროინდელ ვარაუდებს გეტყვი.

ზოგი ამბობდა, ალბათ ბერად აღიკვეცა მონასტერშიო.

— იქნებ მართლაც მასე ქნა ბატონმა ლაზარემ.

— სავსებით შესაძლებელია. ოღონდ ეგაა რომ, ჩვენ, სადაც კი ხმა მიგვიწვდებოდა, ყველა იმდროინდელ აქაურ მონასტერში მოვიკითხეთ და არსად აღმოჩნდა. მოწამეთაში კი, ისედაც ყოველ წელს დავდიოდით ორ ოქტომბერს მოწამეთობაზე და მისი გადაკარგვის მერე, მოწამეთობაზე ჩასულნი, იქაურ ბერებს განსაკუთრებულად ვაკვირდებოდით. ძია ლაზარე მათ შორის არ ჩანდა. რამდენიმე წელიწადში, ისე მოიტანა დრომ და გარემოებამ, რომ ყველა მონასტერი დახურეს, ბერები იქიდან გამორეკეს და აიძულეს, ამქვეყნიური ცხოვრებისკენ ექნათ პირი. იმ დროს მაინც ხომ უნდა გამოჩენილიყო ძია ლაზარე, თუკი მანამდის მართლაც რომელიმე მონასტერში ცხოვრობდა.

ძია ლაზარე, როცა უკვე სამი-ოთხი წლის გადაკარგული იყო, ერთმა აქაურმა ქალმა გვითხრა, რომ თბილისში სტუმრად ჩასულს, სიონის ტაძარში საზეიმო წირვაზე თვალში მოხვდა ერთი კაცი მრევლიდან, რომელიც, მისი ვარაუდით, ნამდვილად ჩვენი ლაზარე იყო, წვერმოშვებული და ასაკმომატებულიო. იმ დღეს ერთი ათთორმეტ დიდ დღესასწაულთაგანი ყოფილა, ტაძარში ტევა არ იყო და ამიტომ ამ ქალმა ვერ შეძლო იმ კაცთან ახლოს მისვლა და გამოცნაურება. იმავე საღამოს კი ის ქალი ქუთაისში გამოემგზავრა.

— იქნებ სწორი იყო ის ქალი და ბატონი ლაზარე მართლაც თბილისში გადასახლდა.

— ისე, თუ მაინცდამაინც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა უნდოდა ძია ლაზარეს, თბილისში უფრო გადასახლდებოდა, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთში ან ესპანეთში, რადგან საიმისო თანხები მას არ გააჩნდა, ევროპაში გამგზავრებას რომ დასჭირდებოდა. ოღონდ, [illegible] რომ იგი თბილისში დასახლდ[illegible] [illegible]ატომ. ძია ლაზარეს [illegible] [illegible]ან რამდენიმე თვის მერე მისმა ლამაზმა ცოლმა აიღო დ დატოვა აქაურობა. არც გაემტყუნება, თბილისში გაზრდილ ქალს, აქ მარტო დარჩენილს, რაღა თქმა უნდა, გაუძნელდებოდა. ჰოდა, ის ქალი თბილისში დაბრუნდა მამის სახლში და ძია ლაზარეც მართლა რომ თბილისში დასახლებულიყო, ცოლ-ქმარი ადრე თუ გვიან, ხომ წააწყდებოდნენ ერთმანეთს და ეს ამბავი ჩვენამდისაც მოაღწევდა.

— ქალბატონო გოგუცა, კიდევ თუ გამოითქვა რამე საგულისხმო ვარაუდი მაშინ?

— ერთნი ამბობდნენ, თავს მოიკლავდაო.

— თქვენც ასე გგონიათ?

— ძია ლაზარე ისეთი კაცი იყო, რომ, მე ვფიქრობ, თუკი თავის მოკვლას დანამდვილებით გადაწყვეტდა, იზამდა კიდეც მაგას. მითუმეტეს, რომ თავის ძვირფას და ლამაზ მაუზერს მუდამ თან დაატარებდა.

ისე, შვილო, მე დარწმუნებით ვერც ვიტყვი, თუ რა გზა და ხვედრი შეირჩია ძია ლაზარემ. მას რომ შვილი დარჩენოდა, ის ალბათ უფრო გალმოდგინედ მოძებნიდა მამის კვალს. ჩვენ კი პირველ ხანებში შევშფოთდით და მერე, რა დასამალია — და, თანდათანობით შევეჩვიეთ უიმისობას. ეგ კი არა, ზოგი უკმაყოფილოც დარჩა, არც მალავდნენ ამას და ასე ამბობდნენ: შეგვარცხვინა ლაზარემო, ვიდრე ჩვენ შორის ცხოვრობდა, მაშინაც ხომ უცნაური და თავისებური იყოო და ეს წასვლა და გადაკარგვა, ვითომ რაღა იყო, რა არ მოეწონა ან ვის ემდუროდაო?..

სხვა, აბა, რა გითხრა, შვილო, მის შესახებ. მე ჩემდათავად, როგორიც დამამახსოვრდა, ძალიან კარგი კაცი იყო. და მაშინ რა გზა და ხვედრიც არ უნდა აერჩია, ერთი კი ნამდვილია, რომ სადღეისოდ მისი ძვლებიც აღარ იქნება ამქვეყნად. უფალმა აცხონოს მისი სული!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მარინა ცვეტაევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევრად გონგრაროვა

ულამაზესი ყმაწვილი ქალი, უცილობელი ტურფა ასული მრავალასულიანი რუსული ოჯახიდან, სად სამი დაა და, როგორც ზღაპრებში ღმერთს, უმცროსი მზეთუნახავად გაუჩენია: სად უმცროსი თუგინდ უფროსი ქალიშვილი, გაკოტრებულ, უთაურ ოჯახში აღზრდილი, მაგრამ ზღაპრული მშვენიერებისა, ცოლად მიჰყვება... აქ კი შევჩერდეთ... ცოლად ვის მიჰყვებოდა ნატალია გონჩაროვა 1831 წელს?

არის სამი პუშკინი. პუშკინი მისი მოყვარულებისათვის (ანუ მეგობრების, ქალების, ლექსის მოტრფიალეთა, სტუდენტობის), პუშკინი ცნობისმოყვარე ხალხისათვის (ანუ ყველა იმათი, ვინც უკანასკნელ ჭორს მის თაობაზე ლამის უკანასკნელ ლექსზე უფრო ხარბად ყლაპავდა), პუშკინი მსაჯულთათვის (ანუ მეფის, პოლიციის, ბულგარინის, იქსის, იგრეკის... მისი სიკვდილის შემდეგ მათი თქმულის მიხედვით) და, ბოლოს, პუშკინი მერმისელთა, ანუ ჩვენთვის, შთამომავლობისათვის.

ამათგან ცოლად ვის მიჰყვებოდა გონჩაროვა? ყოველ შემთხვევაში, არც პირველს და მით უმეტეს, არც უკანასკნელს, რამეთუ მოყვარულნი და მერმისელნი ერთნი არიან. იქნებ მეორეს, ჭორების პუშკინს, ან, რაგინდ მწარეც უნდა იყოს, უფრო სწორი იქნება ითქვას: პუშკინს მსაჯულთა, ანუ მეფის კარის კაცთა თვალით დანახულს; პუშკინს, თუნდაც ლექსების პატრონს, მაგრამ უჩინოს; პუშკინს, უჩინოზე უფრო უარესს, დეკაბრისტთა მეგობარს გუშინ და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფს ამჟამად.

1870 г

რაც არ უნდა თქვან ნიკოლოზ მეფის სიყვარულზე პუშკინისადმი, მეფის ეს სიტყვებიც პოეტზე საკმარისია: „აქ სიწყნარეა, მხოლოდ პუშკინის ტრაგიკული სიკვდილითაა ყველა გართული, რაიც ათასნაირი ბრიყვული მითქმა-მოთქმის წყარო გამხდარა. იგი დაიჭრა სასიკვდილოდ სულელური კარტელის დროს, რისი მიზეზიც თავად გახლდათ, მაგრამ, ღვთის მადლით ქრისტიანად გარდაიცვალა“. და კიდევ მისი პასუხი ქვემოთ მოყვანილ პასკევიჩის ამ სიტყვებზე.

— „ვნანობ პუშკინზე, როგორც ლიტერატორზე. მისი ნიჭი დაღვინების ხანაში იყო, მაგრამ კაცი კი ცუდი გახლდათ“.

„შენს აზრს პუშკინზე სავსებით ვიზიარებ, მასზე შეიძლება თავისუფლად თქვა, რომ მის მომავალს უფრო მივტირით, ვინემ წარსულს“.

მომავალს... ვისას? „კარგი“ კაცისას „ცუდის“ საპირისპიროდ? თუ დიდი მწერლისას მომავალში? თუ პირველია, და პუშკინს ოდნავ მაინც იცნობდა, საიდან მოაქვს, ან, უკეთ, როგორ დაუშვა, რომ პუშკინი „გაკარგდებოდა“ მისი გაგებით თუნდა სასიკვდილო სარეცელზე მეფისათვის თვით შეეფიცა... ფიცს აკი მომაკვდავი იძლევა მუდამ, სიტყვას ასრულებს თუ არ ასრულებს, მხოლოდ ცოცხალი. ხოლო თუ მეორეა, ნუთუ მეფისთვის მანამდელი პუშკინიც კი ცოტა იყო? მეტი სად ნახა? ან მეტი ოცდათექვსმეტი წლის კაცისთვის შეიძლებოდა? მაგრამ ხანდახან ღმერთიც მეტყველებს ცენზორთა პირით: ის რაც უნდა ყოფილიყო ნიჭით, მოქცევით, აი, რისი თქმა სურდა მეფეს. არადა, თქვა კი, მივტირით პუშკინის მომავალსო, ანუ ჩვენზე თქვა, ჩვენზე, უნუგეშოდ დარჩენილებზე პუშკინის ასეთი ყოფით.

ნიკოლოზი, ვით საშიშ ნადირს, პუშკინს ისე ეფერებოდა, ნადირს, რომელიც საცაა გაგლეჯს. იგი პუშკინს იჩვევდა. საუბარი „რუსეთის უჭკვიანეს ადამიანთან?“ ჭკუაც საშიში ნადირია, მეფეებისათვის ეს ყველაზე საშიში მხეცია, მეტადრე მაშინ, როცა იგი თავის ნებაზეა მიშვებული. ნიკოლოზმა პუშკინი გალიაში გამომწყვდია, გალია კი მოუოქროვა: კამერიუნკერის მუნდირი და, ოი, დაცინვავ! არქივში თავისუფლად შესვლის უფლება საზღვარგარეთ წასვლის ნებართვის ნაცვლად, რისი ეშხითაც აჩერებდა კიდეც თავისთან: „შენ სამსახურიდან გადადექი. მე კი გაგიხსნი არქივის კარსო“... და პუშკინიც დარჩა. სოფლის ნაცვლად სამეფო კარი, და სიკვდილი სიცოცხლის მაგიერ.

ნიკოლოზი პუშკინს მუდამ შიშით უცქეროდა, შიშით უცქეროდა მას გონჩაროვაც. დამოკიდებულება ორივესი ერთნაირია. თუ ნიკოლოზ პირველს, ჭკვიან მამაკაცს, პუშკინის ჭკუა აშინებდა, გონჩაროვას, ვით ქალს, ქვეცნობიერად ეშინოდა, მთელი მისი არსების. ნიკოლოზი თვალით ხედავდა, გონჩაროვა გუმანით გრძნობდა. და კიდევ საკითხავია, რომლის შიში უფრო მეტია. თუ ჭკუა და მისი არსება ორივეს, მეფესაც და მზეთუნახავსაც, შიშსა ჰგვრიდათ, და აფრთხობდათ კიდეც.

მაინც რად გაჰყვა გონჩაროვა პუშკინს, არამდიდარს, არასახიერს, არაწარჩინებულს, არასაიმედოს, არასაყვარელს? ოჯახის გაკოტრების მიზეზის გამო? სისულელეა! მისთანა მზეთუნახავნი სწორედაც კაცთა გასაკოტრებლად ჩნდებიან ქვეყნად. რა წამს უნდოდა, ყველაზე მდიდარს. ბრწყინვალე და საიმედო კაცს მისთხოვდებოდა, სწორედ პუშკინის საპირისპიროს. მისი დიდების გამო? მაგრამ გონჩაროვა, როგორც ლამაზი და, მხოლოდ ლამაზი ქალი პატივმოყვარე სულაც არ იყო. ხოლო დიდებას პუშკინისას რა ფასი ჰქონდა მის წრეებში, ეს კარგად ვუწყით. ლექსების გამო? ამის საუკეთესო მაგალითი მისივე პირით ნათქვამია:

— „წაიკითხეთ, წაიკითხეთ, მაინც არ გისმენთ“.

ხოლო კიდევ უკეთესად თვით პუშკინის სიტყვები ჟღერს:

„...ზოგჯერ სიზმრებში გასაოცარ ლექსებს ვნახულობ, მართლა დიდებულთ, მაგრამ ვით გინდა დაიჭირო, ძილში რასაც სწერ. ერთხელ საწყალი ნატაშა გავაღვიძე და ის წუთია დასიზმრებული ლექსები წავუკითხე, მერე სინდისის ქენჯნამ მომკლა, ისე ეძინებოდა!“

— „რატომ მაშინვე არ ჩაიწერეთ ის ლექსები? — დამცინავად შემომხედა და დაღონებით თქვა:

— ცოლმა მითხრა, ღამე ძილისთვის შექმნა ღმერთმაო. გული ძალიან მოუვიდა, საკუთარმა თავკერძოებამ მეც შემაწუხა და ლექსებიც უმალ გამიფრინდა“ (ა. ო. სმირნოვა, ჩანაწერები, ტ. I).

მაშ, რატომ? რისთვის?

დიდი ვნების წინაშე შიშით. გონჩაროვა იმ შიშის გამო მისთხოვდა პუშკინს, თავის ცენზორულ კირთებქვეშ ნიკოლოზმაც შიშის გამო შეიფარა პუშკინი.

— არ გავყვე ნებით, ძალით მაინც დამითანხმებს. ისევ სჯობს, გავყვე. გაყოლა უფრო იოლია. სულერთია, მაინც ასე იქნება, — აი, როგორ ჟღერს თანხმობა გონჩაროვასი. იგი პუშკინს სიყვარულის გარეშე გაჰყვა ლამაზი ქალის გულგრილობით, უსულო ხორცის ინერტულობით, როგორც თოჯინა!.. ან იქნებ კიდეც ფარული ძრწოლით. ხოლო პუშკინმა ეს იცოდა, იმ წუთს გონჩაროვაზე მეტი იცოდა. რომ არა ვთქვათ რა განგება-ბედისწერაზე, რაც ყოველთვის გამგებელია ამბავთა და შემთხვევათა შორის, პუშკინს, ვინც ესოდენ ბევრ ქალს იცნობდა — არ შეეძლო, არ სცოდნოდა უფრო მეტი გონჩაროვაზე, ქალზე, ვისაც არასდროს ჯერ არავინ არ ჰყვარებია.

აი, მისი წერილი:

„...მხოლოდ მიჩვევა და დიდი ხნის სიახლოვე აღუძრავს თქვენს ქალს ჩემდამი გრძნობას. მე იმედად მარტო ისა მაქვს, გაივლის დრო და შემეჩვევა, მაგრამ ისეთი არაფერი არ გამაჩნია, რომ მოეწონოს: ხოლო თუ იგი დამთანხმდება, ცოლად გამომყვეს, ეს იქნება მხოლოდ დასტური მისი გულის მშვიდი სიგრილისა.

...ხომ არ ინანებს? ხომ არ შემხედავს, ვით დაბრკოლებას. ვით ადამიანს, ვინც მოტყუებით ჩაიგდო ხელში? ხომ არ შევეზიზღები? ღმერთია მოწმე, მისი გულისთვის მზადა ვარ, მოვკვდე, მაგრამ მოვკვდე მხოლოდ იმისთვის, რომ ბრწყინვალე ქვრივად დავტოვო, რომ თავისუფლად აირჩიოს თუნდაც ხვალვე ახალი ქმარი — ამაზე ფიქრი — ჯოჯოხეთური ტანჯვაა ჩემთვის!..“ (პუშკინი ნ. ი. გონჩაროვას (დედას), 1839, აპრილის პირველი ნახევარი).

პუშკინმა იქორწინა თვალახელილად ღია კი არადა, ლამის გაგლეჯამდე გაგანივრებული თვალით, უქუთუთოებოდ. გონ-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეპუბ. ბიბლიოთეკა

ჩაროვამ კი, ბრმად თუ ნახევრად ბრმამ, ქუთუთებდახურულმა, როგორც ეს ულამაზეს და უტურფეს ასულს შეჰფერის.

ნატალია გონჩაროვას ბრალი თავიდანვე აქვს მოხსნილი.

...სიყმაწვილე, გამოუცდელობა, ოჯახური მოსაზრებანი — ეს საბუთად არ გამოდგება. ვოლკონსკის ცოლი ყმაწვილიც იყო და გამოუცდელიც, ოჯახსაც (გავიხსენოთ მისი ციმბირში გამგზავრება!) თავისი აზრი ჰქონდა ამის თაობაზე. თანაც როგორი! სიყმაწვილე, გამოუცდელობა, ოჯახი — ეს შეიძლება იმ დროის ყველა გასათხოვარ ქალზე ითქვას და არაფერს არ ხსნის მათ. იმ წრის ყოველი ყმაწვილი ქალი თითქმის გრძნობებითა და ხელოვნებით სულდგმულობდა მხოლოდ და მხოლოდ და ამის გამო უფრო მეტი გაეგებოდათ გულის განცდებისა, ვინემ ჩვენს ყველაზე თამამ, ყველაზე ფხიზელ და განათლებულ თანამედროვე ქალიშვილს გაეგება.

ეს ცხოვრებაც ჩვენ კარგად ვიცით. საზოგადოებაში ტრიალებდა, ბრწყინავდა. ყველა, ცამეტი წლის ლიცეისტიდან სრულიად რუსეთის მპყრობელამდე, თაყვანს სცემდა და აღმერთებდა არა იმიტომ, თავად ეწადა, თუმცა არც წინააღმდეგი იყო ამისი. ვითარც ელენე, აჩენდა შვილებს, რომელთაც ქმრის სურვილით ჩვეულებრივ სახელს არქმევდა... გულგრილობა აჩენისას, გულგრილობა სახელის დარქმევისას, უნდა ვიფიქროთ, გულგრილობა მათი ჩასახვის დროსაც. ან სხვა რაა, თუ არ გულგრილობა არმონაწილეობა საკუთარ გამარჯვებაში, ვინაიდან იმარჯვებდა მხოლოდ თვალები, მხრები, ხელები, და არა არსი, არა სურვილი გამარჯვებისა.

კეკლუცობა? არა იმაზე მეტი, რაც მისი დროის ქალებს, მასზე ნაკლებ ლამაზებს ჰქონდათ. ის კი არ იყო უფრო კეკლუცი. ისინი იყვნენ ნაკლებ ლამაზნი. აქედან იყო წარმატებაც. ორი ვნება და ერთი, თუკი მასზე შეიძლება ამ სიტყვების თქმა: საზოგადოებაში გამოჩენა და ამის პირუკუ: სოფლად ცხოვრების ზიზღი: პუშკინის ბოლდინოში ცხოვრების ოცნებაზე აკი ასეც თქვა:

— „მგლებში? საათის ტაკატუკი? ხომ არ გაგიჟდით!“ და ცრემლების ღვარი წასკდა.

ცუდი ცოლი? სხვებზე, მისთანებზე ცუდი არა! ცუდი დედა? არასაყვარელი ქმრისგან ნაშობი შვილებისადმი სხვებზე ცუდი არა. როცა პუშკინი მოკლეს, კიდეც იტირა.

არა, არა აქვს გონჩაროვას არაფერი ისეთი ცუდი და მანკიერი, რაიც მისთანა ათასებს არ გააჩნიათ, თუმცა მისთანანი ათასობით არ დაითვლებიან. მხოლოდ სილამაზე კი ჰქონდა. ლამაზი ქალი იყო მხოლოდ. ულამაზესი, გარეშე ჭკუის, სულის, გულის, ნიჭისა... შიშველი სილამაზე, მეხდამცემი და განმგმირავი. და გაჰგმირა კიდეც მხოლოდ გენიოსი მხოლოდ ლამაზმა ქალმა!

რამეთუ ყველაფერი: ორგულობა სიყვარულში, ერთგულება მეგობრობაში, ვაჟიშვილობა თავისი ცუდი და უნიჭო მშობლებისა (პირდაპირ რომ გამორიცხავს პუშკინობის შესაძლებლობას)... მთელი ვნებითა და გზნებით ვაჟიშვილობა რუსეთისა — არა დედის, დედინაცვლისა! ეჭვიანობა და ორგულობა ცოლქმრობაში — პუშკინი მეგობარი, პუშკინი ქმარი. პუშკინი მეამბოხე მეფის ტახტის, საზოგადოების, ძიძის, ეკლესიისა. პუშკინი თავისი მრავალი და მრავალი სახით. ყველაფერი ეს შეკრულია ერთი დუღაბით — პოეტობით.

ყველაფერი და ყოველივე მოსახმარისად! თუ კერნი, თუ პუგაჩოვი თუ სასახლის მელამპრენი, რომელთაც გაჰყვა და სამი დღით გადაიკარგა მათ მოსასმენად და ნაამბობის ჩასაწერად (ასე მიჰყავდა უკანმოუხედავად იგი ყველაფერს).

თავისი გენიით იგივე, რაც გონჩაროვა — **თავისი** სიტურფით. ისეთივე გენიოსი, როგორც იგი ლამაზი. არაა წყვილი? არა, წყვილია! წყვილი ძალის მიხედვით, ოღონდ სხვადასხვა მხარეს მიმართული, ანუ წყვილი ცალ-ცალკე გათიშული ერთმანეთისგან. მხოლოდ ეს და არა სხვა რამე იგულისხმება ვიაზემსკის ზერელე შენიშვნაში: „ჩვენი დროის უპირველესმა რომანტიკოსმა პოეტმა უპირველესი რომანტიკოსი ქალი შეირთოო“.

სხვები ცდებიან, როცა ამბობენ: „არ იყო წყვილი“. უპირველესმა უპირველესი შეირთო ცოლად და არა, ჭკუით პირველმა უჭკუო ქალი, და არა, სილამაზით უპირველესმა ჩია მამაკაცი. გენიის ისეთივე წმინდა მოვლენა, ვით სილამაზის, სილამაზის ანუ სიცარიელის (ადამიანის საბედისწერო პირველი ნიშან-თვისება: არ სურს, იყოს საბედისწერო და ხშირად არც იცის, რომ მაინც არის. ვით ნოვატორს, არასდროს არ სურს ნოვატორობა და გულწრფელად სჯერა, რომ მხოლოდ მისებურად აკეთებს საქმეს, ვინემ ყურებს არ გაუხვრეტენ მისი სიახლით, მემარცხენეობით... საბედისწერო ემანაცია!).

ნატალია გონჩაროვა მ ხ ო ლ ო დ საბედისწერო ქალი გახლავთ. ესაა ცარიელი ადგილი, რომლის ირგვლივ იკრიბება და ერთმანეთს ეჯახება ყველა ძალა და ყველა ვნება. ადგილი სასიკვდილო და დამღუპველი (პუშკინის კუბო ვარდების ქვეშ!), როგორც ელენე ტროადელი საბ ა ბ ი იყო და არა მიზეზი ტროას ომისა, გონჩაროვაც არა მიზეზი, საბაბი იყო პუშკინის დასაღუპად, რაიც აკვნიდან შუბლზე ეწერა. ამისათვის ბედმა ყველაზე უბრალო და უწყინარი იარაღი — ულამაზესი ქალი არჩია.

პუშკინის ლტოლვა გონჩაროვასადმი, თვითონ რომ აკვიატებულ ვნებად ჩათვლიდა ალბათ და დასტურ ასე თვლიდა კიდეც (ჯადო „გაგონჩარება“). გენიის ლტოლვა, სულის სისავსის ლტოლვა იყო ცარიელი ადგილისაკენ გასაქანი რომ მისცემოდა. ხომ იყვნენ პუშკინის გვერდით სხვა ქალები, მაგრამ ხომ ტყუილად არ არჩია სწორედ იგი! (დიახ, იცოდა, ვისაც ირჩევდა). ნული უნდოდა, რამეთუ ყველაფერი იყო თავად, და კიდევ სურდა ის ყველაფერი, რაშიაც თავად ნული იყო. წყვილი არ იყო მისთვის როსეტი, რაევსკაია არ იყო კერნი. მისი წყვილი მხოლოდ გონჩაროვა აღმოჩნდა. როსეტის ჭკუას, კერნის სიყვარულს არ დაგიდევდათ. მას უნდოდა პირველი და მიუღწეველი. მისი ქორწინება ისეთივე გენიალური ამბავია, როგორც მისი სიკვდილ-სიცოცხლე.

„გონჩაროვა არ იყო მისი წყვილი“. თითქოსდა, მხოლოდ ისაა წყვილი, როცა ერთმანეთს ხმას შეუწყობენ! არიან წყვილები, ერთმანეთისკენ ლტოლვის ვარსკვლავზე დაბადებულნი, ერთმანეთზე შეყვარებულნი, ბედნიერები ჩანაფიქრით, მისწრაფებით ერთმანეთისკენ, თუნდაც მათ შუა სასადილო მაგიდა იყოს („ფილიმონე და ბავკიდა“), გინდ სასიკვდილო საწოლი („რომეო და ჯულიეტა“), გინდ მონასტრის ხარიხები („ელოიზა და აბელიარი“), გინდ ყველა ზღაპარი, რომელიც ბობს ამა ქვეყანაზე („ტრისტანი და იზოლდა“).

არიან კიდევ წყვილები გათიშულნი, თითქმის დაგლეჯილ-დაწყვეტილები. ზიგფრიდი, რომელმაც ბრუნჰილდა ვერ შეიცნო, პენზეფილეა, ვინაც აქილევსი ვერ გამოიცნო. და მაინც იმათ წყვილები ჰქვიათ. მაგრამ არიან წყვილები საბედისწერო, შინაგანადვე განწირულნი, არც ამ წუთისოფელში და არც იმქვეყნად, ვისთვისაც იმედი არ არსებობს.

პუშკინი და გონჩაროვა!

ვინ და რაა გონჩაროვა თანამედროვეთა გადმოცემით? ქალი ულამაზესი „მელანქოლიის, განდგომის ბეჭდით...“ შემდგომი წვეულებისა თუ კაბის გამო? ჩუმი, მდუმარე. თუ მისი სიტყვები მოაქვთ, სულ უბრალოა და უშინაარსო. გასაოცრად უსიტყვო ქალი. ყველა მხოლოდ მის ღიმილზე, სიარულზე, თვალებზე, მხრებზე, ყურებზეც კი ლაპარაკობს. რა თქვა, რა ილაპარაკა, სიტყვას არავინ ძრავს. რამეთუ იგი მთლიანად — ღიმილია, თვალები, მხრები, ყურები და ასეც დარჩა: ელენე უწყინარი და უსიტყვო, თოჯინა, ბედის იარაღი.

მეჯლისებისადმი ისეთი ლტოლვა, ვით პუშკინის ლექსებისადმი: ერთადერთი სრული შესაძლებლობა გამოვლინების (მოვლინება და გამოვლინება!) დარბაზში შესვლით, უკვე ყველაფერს მეტყველებდა ყოველივეთი, ყურის ბიბილოდან ფეხის წვერამდე. ყველაფრით ერთად, გარდა სიტყვების. მთელი ყოფა ლამაზი ქალის გამოჩენაა. დარბაზები და მეჯლისები გონჩაროვასთვის ბუნებრივი სამშობლო იყო. მხოლოდ იმ საათებში არსებობდა, ცოცხლობდა იგი. კეკლუცობა კი არა, არსებობა, ყოფნა ეწადა. აი, ეს იყო სასახლისა და სოფლის ამოცანის მთელი ამოხსნაც.

შინ ამთქნარებდა, იტანჯებოდა, ტიროდა კიდეც. კვდებოდა შინ. ქალღმერთი თოჯინად იქცეოდა, არყოფნას უბრუნდებოდა.

თუ ერთმანეთის წყვილი არ იყო ქორწინების ქრისტიანული გაგებით მხოლოდ, რაც ეფუძნება ერთად სწრაფვას სიკეთისადმი. არც ერთობა, არც სწრაფვა და არც სიკეთე არ ყოფილა. თუმცა არა, სწრაფვა იყო: საქორწინო ეტლი არბატის გავლით, ხიტროვას სახლი, სადაც ჯვარისწერის შემდეგ ახალგაზრდები გაემგზავრნენ, მათ პირდაპირ ჩორნაია რეჩკაზე მიაქანებდა. აქედან გზები გაიყარა: გონჩაროვასი — ლანსკოისაკენ, პუშკინისა — მონასტერში სვიატოგორსკისა.

წარმართთა წყვილი, ღმერთის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ბედისწერით...

შემაძრწუნებელი წვრილმანი ერთი: ეტლი, რომელიც პუშკინს ჩორნაია რეჩკისკენ მიაქროლებდა, სასახლის სანაპიროზე გონჩაროვას ეტლს გაუსწორდა. ერთმანეთი რომ დაენახათ... „მაგრამ პუშკინის ცოლი ბეცი იყო, პუშკინი კი მეორე მხარეს იყურებოდა“.

სინამდვილეში პუშკინი თეთრცხენოსანს უნდა მოეკლა, რაიც ესოდენ წმინდად სწამდა, რომ შეცდომით ვეისკოპფად შერაცხა იგი (თითქოს საკუთარ სიკვდილს ზომავდა) — პოლონეთის ომის ერთ-ერთ გენერლად, სადაც სიკვდილის შესაგებებლად ასე მიისწრაფოდა. განგება კი

გონჩაროვას შემწეობით დანტესს არჩევს, ისეთივე სიცარიელეს, როგორც თავად გონჩაროვაა. პუშკინი თეთრ თავს არ მოუკლავს. იგი მოკლა რაღაც შუალედმა.

„...რა დამრჩენოდა, დუელისთვის ვიწყე მზადება. ვიყიდე დამბაჩები, ამოვირჩიე სეკუნდანტი, მოვაწესრიგე ქაღალდები და ლოდინში ვიყავ მთელი სამი თვე. ლოდინი კი ტყუილი გამოდგა. ეს კია, გულში შტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, პუშკინისათვის არ მესროლა, ხოლო ჩემთვის რამდენჯერმეც რომ ესროლა, წარბი არ შემეხარა“ (ვ. ა. სოლოგუბი — კაცი მისგან შეურაცხყოფილი!).

არა ასეთმა, არამედ სწორედ დანტესმა, ლამაზმა კავალერგარდმა პუშკინის გამოსათხოვარ მისატევებელ სიტყვებზე შეძლო სიცილით ეთქვა: „გადაეცით, რომ მეც მივუტევებ!“ თუმც ეს სიკვდილი იცინოდა პუშკინისა არა დანტესი, ეს თეთრი ცხენის ხვიხვინი იყო.

რომ პუშკინი არ გყვარებოდა (ვით გონჩაროვას და ვით დანტესს), მოგეკლა იგი, ეს ნიშნავს, მისი არაფერი არ გცოდნოდა. გონჩაროვა, ვისაც იგი არ უყვარდა, მან ითხოვა დანტესის დამატებით, ანუ საკუთარ სიკვდილთან ერთად. ამიტომაც, უღალატა თუ არ უღალატა პუშკინს ცოლმა, ეკეკლუცებოდა თუ კოცნიდა დანტესს, მხოლოდ კოცნიდა თუ იყო სხვა ყველაფერი — აზრი არა აქვს, რამეთუ დანტესი მან დეულში მისი და არა გონჩაროვას სიყვარულისთვის გამოიწვია. რამეთუ პუშკინი დანტესს ბოლოს და ბოლოს შეხედვის გამოც გამოიწვევდა, რათა ღვთის ცნება დასტურქმნილიყო.

და კიდევ უღალატა თუ არ უღალატა გონჩაროვამ პუშკინს დანტესთან, აკოცა თუ არ აკოცა მას, მაინც ბრალი არა აქვს. რამეთუ არ შეიძლება თოჯინას ბრალი დასდო, რამეთუ ასეთი იყო განგების ნება, რამეთუ პუშკინი მას არ უყვარდა.

ლანსკოი კი უყვარდა და, მგონი, ერთგული ცოლიც იყო.

„ჩვენი დღეების უპირველეს რომანტიკოს ქალს სილამაზით“, აჩრდილების არ ეშინოდა. აჩრდილი კი პუშკინისა (ცოცხალთა შორის ყველაზე ცოცხლის, ვნებიანთ შორის ყველაზე ვნებიანის, აჩრდილი შავი არაბის!) საშინელია. მაგრამ გონჩაროვას ის არ უნახავს და არ უნახავს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერც ნახავდა. პუშკინმა ეს კარგად უწყოდა. აჩრდილის ნახვას სხვა თვალი უნდა. საამისოდ არას გიშველის დიდზე დიდი ნატალია გონჩაროვასეული თვალებიც კი. პუშკინის ბოლო მოსვლა მისი საბოლოო დამარცხება იქნებოდა. ქალი ლანსკოის ვერ მოსწყდებოდა, ვინც ძლივას მოიხელთა და ვისაც ძლივს მიაღწია.

გონჩაროვა და პუშკინი, მარია-ლუიზა და ნაპოლეონი. ისეთივე ავი სიზმარი, ასე სწრაფად რომ დაივიწყა გონჩაროვამ — ლანსკოის მკერდზე, მარია-ლუიზამ კი ნეიპარგისა.

ძნელია მასთან ცხოვრება, ვინც არ გიყვარს. რა სჯობს საყვარელ კაცთან ცხოვრებას. ასედაცაა სიმღერებში. ისინიც უნდა შევიცოდოთ, რადგან ისინიც ცოდვანი არიან.

შემდეგ რა იყო გონჩაროვას თავს?

გასაჩუქრა სიკვდილის შემდეგ დაშთენილი პუშკინის ყველა რელიკვია: „ჩემი ფიქრით, თქვენთვის სასურველი იქნება გქონდეთ ის ახალუხი, იმ უბედური დუელის დღეს მას რომ „ეცვა“. ნაშჩოკინს — ახალუხი (წითელ-მწვანეუჯრედიანი), ვერცხლის საათი და საფულე ოცდახუთმანეთიანითა და ქერა ლოკონით.

სახლიდან ცხედრის გადასვენებას ეკლესიაში არ დაესწრო „იმიტომ, რომ დაღლილი იყო და კიდევ არ სურდა ჟანდარმებს ჩვენებოდა“ (პირველი ჩვენება სხვა ასი ჩვენების შემდეგ!).

კიდევ ერთი მოწმობა ცხრა კვირის მერმე:

„ძალზე დამაღონა, ნატალია ნიკოლაევნაზე რაც მომწერეთ. საოცარია, როგორ მინდოდა ნუგეშს სწეოდა, თუმც არ მეგონა, თუ სურვილი ასე ჩქარა ამიხდებოდა“ (ა. ნ. კარამზინი ე. ა. კარამზინას, 1837 წ. აპრილი, რომი).

და მეორეც, უფრო მოგვიანებით:

— შენ მეკითხები, ნატალი და ალექსანდრინა რას იქმნიანო: არიან გაუნძრევლად, დრო გაჰყავთ, ვით შეუძლიათ; ცხადია, პეტერბურგში ცხოვრების შემდეგ, სადაც ნატალის ასე ანებივრებდნენ, ჩვენი ერთფეროვანი ყოფა დიდ სიამეს ვერ მიანიჭებს, იმიტომაც უფრო ხშირად ნაღვლიანია, ვინემ მხიარული“ (დ. გონჩაროვი — ეკატერინა ნიკოლაევნა დანტესჰეკერნს, პოლოტნიანი ზავოდი, 1837 წლის 4 სექტემბერი).

და ეპილოგიც:

ნატალია პუშკინა 1844 წლის 18 ივლისს გენერალ პეტრ პეტროვიჩ ლანსკოის ცოლი გახდა.

1837-1844... რა იყო ამ წლებს შორის? ორი წელი პოლოტნიანი ზავოდში გადასახლება თავისი ნებით — „ორი წელი ჩემზე ძაღები არ გაიხადო, შეეცადე, რომ დაგივიწყონ. მერე ისევ გათხოვდი, ოღონდაც თავქარიანს არ გაჰყვე ცოლად“. შემდეგ ისევ იგივე, მეფის უზენაესი მფარველობა, ვისაც არაერთხელ ებრძანებინა: ნატალია ნიკოლაევნამ წინანდელივით კვლავ დაამშვენოსო სამეფო დარბაზობანი. გონჩაროვას ერთ-ერთი გამოჩენა იქ ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

გონჩაროვა და ნიკოლოზი კვლავ ერთხელ კიდევ შეიყარნენ.

კუბოში მძინარევ, იძინე მშვიდად,
ცხოვრებით იხარე სიცოცხლით სავსევ.

ასეც „იხარებდა“ დაბერებამდე, თუ რომ პუშკინის სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ ლანსკოის არ მისთხოვდებოდა, რომელმაც (აუხსნელია გზანი უფლისანი!) ის მისცა, რაიც პუშკინმა ვერ შეიძლო, რაკი არ მისცა: ანუ სული ადამიანის.

აქ მთავრდება გონჩაროვა ანუ ელენე, გონჩაროვა ანუ სიცარიელე, გონჩაროვა ანუ ქალღმერთი და იწყება სხვა გონჩაროვა: გონჩაროვა ცოლი, გონჩაროვა ქმრის მოყვარული, ახალი გონჩაროვა, ვისაც იქნებ პუშკინიც კი შეყვარებოდა.

პუშკინის, დანტესის, ლანსკოის გარეშე კი მისდათავად რა და ვინ იყო? იგი არ იყო, არ არსებობდა. გონჩაროვა ცხოვრებისეულ ბიოგრაფიასა და ფაქტებში არსებობს მხოლოდ (თუ როგორში, სხვა საკითხია), ვით ელენე მშვენიერი აქაელთა და დანაელთ ომში, ვინც მისდა უნებლიეთ გამოწვეულ და ამის გამო გადატანილ ჭირთა გარეშე არ არსებობს. ის ცარიელი ადგილია მომუჭულ ხელისგულებს შუა. გაშლი ხელებს და შეგრჩება მხოლოდ ჰაერი.

თარგმნა **რუსუდან ქეგულაძემ.**

დაბადების 100 წლის

ა. ს. მაკარენკო



ბავშვთა აღზრდა მნიშვნელოვანი დარგია ჩვენი ცხოვრების. ჩვენი ბავშვები — ეს ჩვენი ქვეყნის მომავალი მოქალაქეებია და მსოფლიოს მოქალაქეები. ისინი შექმნიან ისტორიას. ჩვენი ბავშვები — ეს მომავალი მამები და დედებია, ისინი აგრეთვე იქნებიან თავიანთი შვილების აღმზრდელები. ჩვენი ბავშვები უნდა გამოიზარდონ შესანიშნავ მოქალაქეებად, კარგ მამებად და დედებად. მაგრამ ესეც ყველაფერი როდია: ჩვენი ბავშვები — ეს ჩვენი სიბერეა. სწორი აღზრდა —ეს ჩვენი **ბედნიერი სიბერეა,** ცუდი აღზრდა — ეს ჩვენი მომავალი უბედურებაა, ეს — ჩვენი ცრემლებია, ეს — ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე.

არ შეიძლება გამოვყოთ ოჯახური საქმეები საზოგადოებრივი საქმეებისაგან. თქვენი აქტიურობა საზოგადოებაში ან სამუშაოზე გამოხატულებას უნდა პოულობდეს ოჯახშიც, თქვენი ოჯახი უნდა ხედავდეს თქვენს პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ სახეს და არ გამოყოფდეს მას მშობლის სახისაგან. ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაში, თქვენი სულისა და თქვენი აზრის საშუალებით უნდა მიდიოდეს ბავშვებამდე. ის, რაც ხდება თქვენს ქარხანაში, რაც გახარებთ ან გაწუხებთ თქვენ, უნდა აინტერესებდეთ თქვენს შვილებსაც. მათ უნდა იცოდნენ, რომ თქვენ საზოგადოებრივი მოღვაწე ხართ და ამაყობდნენ თქვენით, თქვენი წარმატებებით, თქვენი დამსახურებით საზოგადოების წინაშე. და ეს სიამაყე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჯანსაღი სიამაყე, თუ მისი საზოგადოებრივი არსი გასაგებია ბავშვებისათვის; თუ ისინი არ ამაყობენ თქვენი კარგი კოსტიუმით, თქვენი ავტომობილით თუ სანადირო თოფით.

თქვენი საკუთარი ყოფაქცევა — უაღრესად გადამწყვეტი საქმეა. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ აწარმოებთ ბავშვის აღზრდას მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ელაპარაკებით ან არიგებთ, ან უბრძანებთ. თქვენ აწარმოებთ მის აღზრდას თქვენი ცხოვრების ყოველ მომენტში, მაშინაც კი, როდესაც თქვენ შინ არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ ელაპარაკებით ადამიანებს და ლაპარაკობთ მათ შესახებ, როგორ მხიარულობთ ან ნაღვლიანობთ, როგორ ეპყრობით მეგობრებს და მტრებს, როგორ იცინით, კითხულობთ გაზეთს, — ყველაფერ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის.

ეკრანის ოვალეზა

თამარ გოგაართელი

ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწე თამარ ციცინაძილი შემოქმედებით ცხოვრების გზაზე გამოვიდა და თავისი წყლილი შეიტანა ქართული კინოხელოვნების გაგაზთარების საქმეში.

— თბილისის თეატრებთან ჩემი ბავშვობის ყველაზე მშვენიერი და სათუთი წლებია დაკავშირებული, — იგონებს იგი. — სკოლა და თეატრი თითქმის ერთდროულად შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს მოიცნებია, მსახიობი გამოესულიყავი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ადრე კინოზეც არასოდეს უფიქრია. შემთხვევით მოხვედრილ კინოკამერის წინ. რეჟისორი სიკო ფოლიძე ამ დროს დარიკოს როლის შემსრულებელს ეძებდა. მისი არჩევანი თამარ ციცინაძილზე შეჩერდა.

„დარიკო!“, როგორც იტყვიან, გრიგალივით დატრიალდა ეკრანზე. ქეჩაში მეერთხენენ დარიკოს სიმღერას. ახლაც ყურში გვესმის: „აე, ჰე, დარიკო ვარ გლეხის ქალი“... ხალხმა იიტაცა ეს ფილმი. სამი თვის მანძილზე არ ჩამოსულა ეკრანიდან. 1937 წელს კი მთელ საბჭოთა კავშირში ერთდროულად უჩვენებდნენ.

მაყურებელი მოხიბლა ფილმის ჰეროინამ, დარიკოსა და სიმღერამ სიმამაცემ.

— დღე და ღამე ვმუშაობდი დარიკოს როლზე, — ცოტა მოგვიანებით დაწერის თამარ ციცინაძილი. — ზეადიწევნით შეკვისწავლე დარიკოს პროოფესია და საერთოდ რეალისტურ ქალთა წარსული. თანდათან უფრო გამიტაცა დარიკომ. მე ის უსაზღვროდ შემიყვარდა. ცალკეული ეპიზოდების შესრულებისას მაკრწყვიტა, რომ მსახიობი ვიყავი. ასეთ წუთებში მე თითქოს ნელაჩა ვიბაღებოდი.

დარიკო, მებრძოლი ქალის სიმბოლური გამოხატულებაა, პირველი რეალისტური ქალის სახეა ქართულ კინოხელოვნებაში. თამარ ციცინაძილისთვის დარიკო გახლდათ სადებიუტო როლი, რომლის დაძლევაზე დიდად იყო დამოკიდებული მსახიობის შემდგომი შემოქმედებითი გზა.

როგორც ზემოთ ითქვა, თამარ ციცინაძილს მთელი სერიოზულობით დაეწყია ამ როლზე მუშაობა. გადაკეთხავს ისტორიული და მხატვრული ლიტერატურა. გამოუძებნია როლთან მონათესავე შტრიხები და მისი მეშვეობით მებრძოლი ქალის სახის სწორი გაჯრება. ამასთან, მსახიობს უსწავლია ირაფის ხმარება, ცხენზე ჯდომა, შეჩვევია მამაკაცის ტახსაცმელს.

ეს შეტად რთული როლი გახლდათ დებიუტანტი მსახიობისათვის. დიდი ზრუნის, მღელვარებისა და უძილო ღამეების ფასად თამარ ციცინაძილმა დარიკოს სახის სწორ ინტერპრეტაციას მიაღწია.

იმ დღეებში თავის ერეკლე რეკენზიაში გიორგი ნატრაშვილი განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღნიშნავდა:

— თამარ ციცინაძილმა, რომელსაც პირველად შეეჭიდოთ ეკრანზე, შეძლო, შეექმნა სრულყოფილი სახე ნამდვილი რევოლუციონერი მებრძოლი ქალისა. რთული და ძნელი იყო ეს როლი, მაგრამ მსახიობმა იგი წარმატებით დასძლია.

ბუნებით მომაღლებულმა ნიჭმა, ღრმა შინაგანმა კულტურამ და როდუნ ვიტაკებით მუშაობამ შეეძლო სცენური სახე, რომელიც თავისი დამაჯერებლობით ეკრანის მშვენებად იქცა. მეტი ხალისი მიეცა ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრებას. მის სახლ-რეულ საზღვარი არ ჰქონია, როცა რეჟისორ კოტე მეკაბრიძეს ნესტანის როლი შეუთავაზებია. ეს ყოფილი ერთგვარი ექსპერიმენტი — დაედგათ ნაწყვეტები უკ-

ეკრანის ოვალეზა

მსახიობმა შეძლო. მოუნახა დახვეწილი ფერები ამ როლის გადასაწყვეტად. ჩვენ წინ მშვენიერი, დიადი მეზობელი გატაცებული ქალია. ქალი სპეციალისტი, ახალი ცხოვრების ნამდვილი პირაშო. დარიკოს მებრძოლი ჰეროიკა ამ შეეცალა თანამედროვე ადამიანის შეფიდობიანი შრომის ჰეროიკამ, მაგრამ ამავე დროს ეს არის

ალი ოჯახი“, „ეროვნული სიმღერა“, „მთავარი ბრძოლა“, „ტარიელ ბოლელი“, „დედოსტატის ძარღვები“, „მზე შემოდგომის“, „ბარათაშვილი“ (ტელეფილმი), „სურამის ციხე“, „ჩემი ინგილო ჰაპა“, „ფანერაზის მიღმა“ „გზაფიფლოა“, „ნონანიება“ და სხვები.

ვამოჩენილი მსახიობს არა მარტო „ქართულ ფილმში“ ეწვევენ, არამედ ჩვენი

ფილმ „ბედნიერი შეხვედრა“, „ბაში-აჩუკი“. „ქეთო და კოტე“ ...

ფილმ „ბედნიერ ბრძოლა“ ... ამ ფილმში ... ეკატერინე ... ეკატერინე ... ეკატერინე

ლევან დოლიძე

ზღვის რაინდი

ეჭვიანული ბიბლიოთეკა

ეარადოქსული ია, რომ საქართველოს, რომელიც ოდითგანვე ზღვისპირეთს ემიჯნებოდა, წარსულში არა ჰყოლია ძლევამოსილი საზღვაო ფლოტი და სახელგანთქმული მეზღვაურები.

საბჭოთა ხელისუფლებამ სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ფრთები შეასხა ქართულ ნაოსნობას, ათასობით ქართველ ჭაბუკს გაუხსნა გზა ზღვაოსნობისაკენ. ომამდელ თაობას სისხლში გაუჯდა ზღვის რომანტიკა, მოგზაურობის წადილი.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში ბევრი ქართველი მეზღვაურის გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერა: ვიცე-ადმირალი გ. ს. აბაშვილი, კონტრ-ადმირალები ს. ა. კაპანაძე, ვ. ნ. ლეჟავა, ს. ს. რამიშვილი, კ. დ. სუხიაშვილი, მ. ზ. ჯინჭარაძე. აი იმ გმირთა არასრული სია, რომელთაც თავიანთი შეუპოვრობით, თავდადებით, უშიშრობით ასახელეს სამშობლო.

მათი ტრადიციების გამგრძელებელია ჩვენი თანამედროვე სახელგანთქმული კონტრ-ადმირალი ბორის ანატოლის ძე ანანიაშვილი, რომელიც 40 წელზე მეტია, რთულ სამხედრო-საზღვაო სამსახურს ეწევა.

ბორის ანანიაშვილი დაიბადა 1927 წლის 10 ნოემბერს. მამა ანატოლი ანანიას ძე სამხედრო მოსამსახურე იყო. მის ოჯახს ხშირად უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. ბავშვობა ბორისმა აზოვის ზღვის ნაპირას, ქალაქ ვისკში, გაატარა. პატარაობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა და ექვსი წლისა პირდაპირ მეორე კლასში ჩარიცხეს.

ზღვის პირას გაიზარდა იგი, მაგრამ სხვა ბიჭებივით მეზღვაურობაზე არ უოცნებია. მას უფრო ცა იტაცებდა. ამის მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ ქუჩაში ხშირად ხედავდა უძველესი საფრენოსნო-საავიაციო სასწავლებლების კურსანტებს. ბევრი ცნობილი მფრინავი მის ოჯახთანაც მეგობრობდა.

1940 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ფინეთთან ომში და მერე საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიას მიაშურა. დიდმა სამამულო ომმა აქ მოუსწრო ანანიაშვილების ოჯახს, რომელიც 1941 წლის ოქტომბერში მოსკოვში დამკვიდრდა. მამა მოსკოვის სამხედრო აკადემიაში გაგზავნეს სასწავლებლად, ხოლო ბორისი ბებიასთან ერთად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.

აქ 1943 წელს, 15 წლის ბორისმა, საშუალო სკოლა დაამთავრა, მაგრამ მფრინაობაზე მის ოცნებას აღსრულება არ ეწერა — ასაკის გამო უარი უთხრეს.

დრო რომ არ დაეკარგა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები. მათემატიკა მისი საყვარელი საგანი იყო და მან უმაღლეს სასწავლებელშიც წარმატებით განაგრძო სწავლა.

სწავლა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია, მხოლოდ ქართული ენა გაუძნელდა, ვინაიდან ოჯახში ძირითადად რუსულად ლაპარაკობდნენ. შეღავათებით არ უსარგებლია. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბორისი პედაგოგის სახლშიც დადიოდა დამატებითი გაკვეთილებისათვის. ასეთმა მოწადინებამ კარგი შედეგი გამოიღო.

1944 წელს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის დახურვის შემდეგ, 16 წლის ბორისმა ისევ სცადა საფრენოსნო სკოლაში შესვლა და კვლავ უარი მიიღო. ლამის სასოწარკვეთილებას მიეცა. საბედნიეროდ, მეზობელმა ოთარ აბვლედიანმა, იმ წელს რომ აბარებდა გამოცდებს კასპიის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, შეაგულიანა ბორისი, წაჰყოლოდა ბაქოში და მასთან ერთად ჩაებარებინა გამოცდები, რათა შემდგომში საჰაერო სასწავლებელში გადასულიყო. 1944 წელს ბორისი საზღვაო სასწავლებელში ჩაირიცხა.

მომავალ მეზღვაურს ცაზე ოცნება მაინც არ შეუწყვეტია. ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, საჰაერო სასწავლებლების რიცხვი შემცირდა და იგი სამუდამოდ დაემშვიდობა სანუკვარ ოცნებას. გავიდა ხანი, ნელ-ნელა შეიყვარა საზღვაო ფლოტში სამსახური. მას, ალბათ, იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ სასწავლებლის მაშინდელი უფროსი ქართველი იყო — პირველი რანგის კაპიტანი, გვარდიის საზღვაო ქვეითი ბრიგადის მეთაური კონსტანტინე დავითის ძე სუხიაშვილი, რომელსაც 1945 წელს კონტრ-ადმირალის წოდება მიენიჭა. ეს დიდი სულისა და გულის ადამიანი ზედმიწევნით ერკვეოდა საზღვაო საქმეში. კურსანტებს იგი ძალიან უყვარდათ. მეორე კურსის სტუდენტი ბორის ანანიაშვილი ჯერ განყოფილების, შემდეგ კი ოცეულის მეთაურად დაინიშნა. სულ მოკლე დროში მას პირველი ხარისხის ზემდეგის წოდება მიენიჭა.

აქ, კასპიის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, როგორც აქტიური კომკავშირელი, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. სასწავლებელშივე გადაეცა პირველი სახელმწიფო ჯილდო მედალი „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

რაკი გადაწყვიტა, თავისი ბედი ზღვასთან დაეკავშირებინა, ყველაზე რთული პროფესია — წყალქვეშა ნავზე სამსახური აირჩია.

1948 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ანანიაშვილი ბალტიისპირეთის ფლოტში ერთ-ერთ წყალქვეშა ნავზე განაწესეს. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც ოფიცერი, მეთაური და პედაგოგი. ბედმა მას წილად არგუნა კიდევ ერთ შესანიშნავ თანამემამულესთან შეხვედრა და მისი ხელქვეითობა. ეს იყო პირველი რანგის კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. კ. იოსელიანი.

ბალტიკაზე, 1948 წლიდან 1954 წლამდე, მან სახელოვანი გზა განვლო საბრძოლო ნაწილის მეთაურიდან წყალქვეშა ნავის მეთაურის უფროს თანაშემწემდე. 1949 წელს სკკპ წევრი ხდება. ამ დროს ფლოტის გაზეთმა ჩვენს თანამემამულეს, როგორც წარჩინებულ ოფიცერს, მთელი გვერდი მიუძღვნა სათაურით: „ახალგაზრდობიდანვე გაუფრთხილდი ღირსებას“. მეგობრები და უფროსები მის პიროვნებაში დიდად აფასებდნენ შრომისმოყვარეობას, საქმის ცოდნას, თავმდაბლობას, სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

ლენინგრადში ერთწლიანი სწავლების შემდეგ წყნარი ოკეანის ფლოტის წყალქვეშა ნავის მეთაურად დაინიშნა. შემდეგ ისევ ჩრდილოეთის ფლოტი, ისევ სწავლა, ახალი „საზღვაო უნივერსიტეტის“ გავლა.

1965 წელს წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო აკადემია და ჩრდილოეთის ფლოტში განაგრძო სამსახური.

28 წელი შეალია ჩრდილოეთის ფლოტს, საზღვაო ნაწილების განმტკიცებას, საბრძოლო მზადყოფნას. წყალქვეშა ნავმა, რომელსაც იგი მეთაურობდა, მრავალჯერ დაიმსახურა სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლობის პრიზები. ჩრდილოეთის ფლოტის გაზეთს არაერთხელ აღუნიშნავს მისი ეკიპაჟის წარმატებები.

1978 წელს ბორის ანანიაშვილს კონტრ-ადმირალის სამხედრო წოდება მიენიჭა. მისი თავდადებული სამსახური სამხედრო-საზღვაო ფლოტში აღინიშნა „წითელი ვარსკვლავისა“ და „სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ III ხარისხის ორდენებით, მრავალი მედლით, სიგელითა და დიპლომით.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ადმირალის ოჯახზე. 1957 წელს მან იქორწინა ლენინგრადელ ქალიშვილზე — ნინა გიორგის ასულზე, რომელმაც ლენინგრადის ბლოკადა გადაიტანა და მრავალი ჯილდო დაიმსახურა. მათ ორი შვილი ჰყავთ: ალექსანდრე და ანდრო. ძმები დღეს თადარიგის ოფიცრები არიან. მსახურობენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

სახელოვანი ქართველი ადმირალი თავისი ოჯახით დიდი ლენინის ქალაქში ცხოვრობს.

კურიოზულ შემთხვევათა წიგნი

ინგლისელი სტეფან პილი მრავალი წლის მანძილზე იწერდა დედამიწის ზურგზე მომხდარ უიშვიათეს, ყველაზე მარცხიან შემთხვევებს მსოფლიოში. ასე შეიქმნა კურიოზების წიგნი. მათგან რამდენიმეს ვთავაზობთ მკითხველს.

ძველი პირსის აღება

ინგლისის ქალაქ მარგეიტში ძველი პირსია (ზღვაში შეჭრილი ნაგებობა გემების მისადგომად). 1978 წელს სანაპიროს რამდენჯერმე თავს დაატყდა მძვინვარე შტორმი. ქალაქის ხელისუფლებამ ივარაუდა, ეს ქარიშხალი ამ ძველ პირსს ძირფესვიანად შეარყევსო და გადწყვიტა მისი აღება.

მომდევნო წლის დამდეგს მენაღმეთა რაზმმა სათანადო ადგილებში ჩადო საკმაო ასაფეთქებელი ნივთიერება და ააფეთქა... აფეთქებამ ცამდე აზიდა უზარმაზარი წყლის სვეტი. პირსი კი ნირშეუცვლელად იდგა.

მეორედ აფეთქების დროს პირსის მახლობლად მდგარი ლუდხანის სახურავზე დახვავდა რკინის ნაყარ-ნუყარი, რაც მრავალი წლის მანძილზე წყლის ფსკერს დაელექა. პირსი მაინც ისევ-ისე იდგა...

მომდევნო ამაო ცდის შემდეგ, ამფეთქებლებმა მას თავი მიანებეს. მოვიდა ახალი რაზმი. ისევ აფეთქება?... პირსის სულ ბოლოში მდგარი სახლი ოდნავ გვერდზე გადაიხარა. თვით პირსს კი ნირი სრულიადაც არ უცვლია.

ჰოდა, ქალაქის ხელისუფლებამ ხელი აიღო მის აღებაზე.

ბანკის გაძარცვა

შოტლანდიის ქალაქ როტსეიში როიალ ბენკ ოფ სკოტლანდის გასაძარცვავად სამი მამაკაცი გაემართა. მაგრამ მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ.. თანაც ისე სახიფათოდ, რომ ბანკის მთელმა პერსონალმა ძლივს გაათავისუფლა.

მძარცველებმა მადლობა გადაუხადეს ბანკის მომსახურეებს და წავიდნენ.

რამდენიმე წუთში კი უკანვე დაბრუნდნენ და განაცხადეს: ბანკის გაძარცვა გვინდოდაო. არც ერთმა თანამშრომელმა არ დაიჯერა. როდესაც მათ ხუთასი ათასი სტერლინგი მოსთხოვეს, ამის გამგონე მოლარეს ჰომერული სიცილი აუტყდა.

ამგვარი რეაგირებით შეცბუნებულმა ბანდის მეთაურმა პირველი მოთხოვნა ხუთას გირვანქა სტერლინგამდე შეამცირა, მეორე — ორმოცდაათამდე, ხოლო ბოლოს — ორმოცდაათ პენსამდე, ანუ ნახევარ გირვანქამდე დავიდა. მოლარე მაინც ხარხარს განაგრძობდა.

მაშინ ერთი ბანდიტთაგანი ბარიერს გადაევლო, რომ ფულის დასტისათვის ეტაცა ხელი. ისე უხეიროდ დაენარცხა, რომ ფეხი მოიტეხა. დანარჩენი ორი მძარცველი გაქცევას შეეცადა, მაგრამ კვლავ... მბრუნავ კარებში გაიჩხირნენ, საიდანაც ისინი გამოძახებულ პოლიციელთა ჯგუფმა „დიახნა".

მარცხიანი გემი

ზღვაში პირველად შეცურვისთანავე გემი, რომელსაც „არგომერჩეტი" დაარქვეს, ენით უთქმელ ვაივაგლახში ვარდებოდა.

ჯერ იყო და, რვა თვეს მოუნდა იაპონიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მგზავრობა. ერთხელ იაპონიის ხომალდს დაეჯახა, სამჯერ ხანძარი გაუჩნდა და იძულებული გახდა, ხუთჯერ სარემონტოდ დამდგარიყო.

ერთხელაც ეკიპაჟი აჯანყდა. ცოტა ხნის შემდეგ გემი ბორნეოს კუნძულის მახლობლად გაირიყა. შემდგომ წლებში ჯერ კიურასაოში არემონტებდნენ, მერე კი სიცილიასთან ავარია მოუხდა და ბუქსირით წაიყვანეს ნიუ-იორკში.

ექვსჯერ აუფეთქდა ორთქლის ქვაბი. ერთხელ აუცილებელი გახდა ორი წითელი ფარნის ანთება იმის ნიშნად, რომ ეკიპაჟს არ ძალუძდა გემის ადგილიდან დაძვრა — მექანიზმი მწყობრიდან გამოსულიყო.

„საკადრისად" რომ დაესრულებინა თავისი მოღვაწეობა, „არგომერჩენტი" საბოლოოდ წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და ჩაიძირა კეკოდის კონცხთან. ჩაიძირა და ზედაპირზე ნავთობის ვეება ლაქა დატოვა.

წარუმატებელი სპექტაკლი

წარუმატებელი სპექტაკლებისათვის საპრიზო ადგილების მრავალი პრეტენდენტია, მაგრამ, ყველა მონაცემის მიხედვით, ედუარდ ფალკონერს, ალბათ, პირველი ჯილდო ეკუთვნის.

შედგა მისი სპექტაკლის „ლისმონდელი მიჯნურების" პრემიერა. დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

სპექტაკლი საღამოს რვის ნახევარზე დაიწყო და გაუთავებლად გაჭიანურდა. თერთმეტ საათზე ხალხის ნაწილი დაიშალა. შუაღამე გადავიდა და სპექტაკლი მაინც გრძელდებოდა. ახლა უკვე მაყურებელთა უმრავლესობა მოქნარებით მიემართებოდა შინისაკენ. ღამის ორი საათისათვის დარბაზში დარჩნენ მხოლოდ კრიტიკოსები და ის პირები, რომელთაც ღამის გასათევი არ ჰქონდათ. სამ საათზე შეიკრიბნენ სცენის მუშები და გაცხარებულ კამათში დაადგინეს სპექტაკლის შეწყვეტა.

თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა.

ანეკდოტები

სიცყვა

ფრანგ მწერალს პროსპერ მერიმეს უთქვამს: ისტორიაში მხოლოდ ანეკდოტები მაინტერესებდა: ისინი საუკეთესოდ გამოხატავენ ხალხის ზნე-ჩვეულებებსო. უთუოდ ამით დაინტერესდა ჯაჯუ ჯორჯიკიაც — მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, უცხოეთში განსწავლისა და მოგზაურობის დროს ანეკდოტებსა და ნაკვესებს რომ აგროვებდა. მათგან არჩევდა საუკეთესოებს და თარგმნიდა მშობლიურ ენაზე. ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ასეთ ნიმუშს.

●

ყველა გაოცდა, როდესაც ერთ ლამაზ, მდიდარ ქალს ქმარი გაშორდა.

ქმარმა, რომელიც ამ თემაზე საუბარს შეესწრო, ფეხი წამოსწია და თქვა:

— ხომ ხედავთ, რა ლამაზი ფეხსაცმელია, მაგრამ არავინ იცის, რა ადგილას მიჭერსო.

●

ლუდოვიკო მეთოთხმეტემ ჰერცოგ ვიკონსს ვერსალის სასახლე აჩვენა და უთხრა:

— უწინ აქ ქარის წისქვილი იდგაო.

— დიახ, მეფევ!.. წისქვილი, მართალია, აიღეს, მაგრამ „ქარი" მაინც დარჩენილა, — მიუგო ვიკონსმა.

●

მალერბს — ფრანგ პოეტს, ერთი ძმა ჰყავდა. მის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივარი აღძრა.

— კაცო, არ გრცხვენია, რომ ძმას ედავები? — ჰკითხა ვიღაცამ.

— აბა, ვის უნდა ვედავო? — თურქთან ან ჩინელთან გასაყოფი რა მაქვსო, — უპასუხა მალერბმა.

●

ერთ შეშლილს გზაზე მღვდელი შეხვდა. შეშლილმა ხანჯალი იძრო და დაიყვირა:

— დიდი ხანია, რაც მღვდლის მოკვლა გულში მაქვს ჩადებულიო.

— მიზანს ვერ მიაღწევ, შვილო, რადგანაც ჯერ მხოლოდ დიაკონი ვარ, — თავი გადაირჩინა მოხერხებულმა მღვდელმა.

●

მღვდელმთავარმა მარხვის დროს ხორცი შეჭამა. მეორე ლუკმის გადაყლაპვისას მსახურმა მიაძახა:

— დღეს ხომ მარხვაა, მამაო!

მღვდელმთავარმა სილა გააწნა და უთხრა:

— საძაგელო, ეგ ან ადრე გეთქვა, ან ცოტა მოგვიანებითო.

●

მძაფრი, პოლიტიკური დისკუსიის შემდეგ, ორი მოწინააღმდეგე ერთმანეთს დუელში შეხვდა. ერთ-ერთი მათგანი დაიჭრა და გამარჯვებულს დაუინებით შესძახა:

— ძლეული ვარ, მაგრამ შენი აზრის წინააღმდეგი მაინც ვრჩებიო.

●

ფრანგი დიპლომატი ბოტრიუ სიცხეში ქუდმოხდილი მიჰყვებოდა ჰერცოგ გასტონ ორლეანელს.

ჰერცოგი ბოტრიუს არწმუნებდა, მეგობრები გულთბილად მიუყვარსო.

— ამას, ბატონო, ჩემს თავზე ვგრძნობო, — უპასუხა ბოტრიუმ.

●

ვოლტერმა მორივოზე თქვა:

— ეს კაცი ადამიანის გულთან მიმავალ ყველა ბილიკს იცნობს, შარაგზებში კი ვერ ერკვევაო.

●

მღვდელმთავარმა დესბარომ პარასკევს მარხვა დაარღვია და ტაფამწვარი მიირთვა. სწორედ ამ დროს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. გულმოსულმა დესბარომ ჭამა შეწყვიტა, ფანჯარა გამოაღო და ტაფამწვარი გადაუშვა. თანაც ხმამაღლა ჩაიბუზღუნა:

— შე დალოცვილო, ღმერთო, განა ამ უხეირო ტაფამწვარისათვის ამდენი აურ-ზაურის ატეხა ღირდაო?!

●

ფრანგი მოაზროვნე ვუატერი ამბობდა: სილამაზე ის სარეკომენდაციო წერილია, რომელსაც ბუნება თავის შეყვარებულს აძლევსო.

●

პოპს ჰკითხეს, ინგლისელ ფილოსოფოსს:

— ამდენი მეგობარი როგორ შეიძინეთ?

—მხოლოდ და მხოლოდ აქსიომის მოშველიებით. აქსიომა გვეუბნება, რომ ყველაფერი დასაშვებია და ყველა მართალია, — უპასუხა პოპმა.

შეკრიბა ჯიმშერ მუჯირმა.

კროსვორდი



თარაზულად: 5. ქართველი მწერალი, რაფიელ ერისთავის და; 7. საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი ქალი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი; 8. თვითმმართველობა; 11. სიმებიანი საკრავი; 14. ლამაზი, მომხიბვლელი ქალი; 16. ქართველი მსახიობი — ა. ცაგარელის მეუღლე; 17. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 18. რუსი ფერმწერი — მართა სოლოღაშვილის პორტრეტის ავტორი; 20. ქიმიური ელემენტი, კეთილშობილი ლითონი; 21. ინგლისის ქალაქი; 23. ღიად დატოვებული სივრცე ნაგებობაში; 27. ქალის მხრებზე ბეწვის ან ხავერდის წამოსასხამი; 28. სხვადასხვა ნარევის მოსამზადებელი მანქანა; 29. საბჭოთა კოსმონავტი.

შვეულად: 1. თოთხმეტსტრიქონიანი ლექსი; 2. სამკაული; 3. ქართველი მსახიობი, დრამატურგი და რეჟისორი; 4. ინდური ხურმა; 6. ნიკარაგუის დედაქალაქი; 9. ენათმეცნიერების ნაწილი; 10. სცენის მოწყობილობა; 11. გერმანელი კომუნისტი ქალი; 12. ტყის ბალახი; 13. ტექნიკური ესთეტიკა; 15. ბრიტანეთის კუნძულების უძველესი სახელწოდება; 19. მამაკაცის ქანდაკება, რომელსაც ეყრდნობა შენობის, კარიბჭის და სხვა სახურავი; 22. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი; 24. ბრაზილიელ ქალთა მოძრაობის და მშვიდობის მსოფლიო მოძრაობის მოღვაწე ქალი „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის", ლენინური პრემიის ლაურეატი; 25. პირბადე; 26. ხლართი.

შეადგინა ქეთევან ჭურდოვანიძემ.

მე-2 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ასტრონომია; 8. პასკალი; 9. კრატერი; 10. აკაი; 11. ეკლესია; 13. თიანეთი; 15. კამა; 17. ეტლი; 18. ოინი; 19. თერმოსტატი; 22. წეკო; 23. ცინა; 24. იოდი; 25. მიტკალი; 27. ოკაიამა; 29. მუმუ; 31. ალგებრა; 32. რელიგია; 33. ფილადელფია.

შვეულად. 1. არმია; 2. გორკი; 4. სკამი; 5. იგავი; 6. ჰამლეტი; 7. ორლეანი; 12. საიათნოვა; 14. ასოციაცია; 15. კარმენი; 16. აპატიტი; 20. წერტილი; 21. ანთალია; 26. ლიბრი; 28. კალცი; 29. მარაო; 30. ურალი.

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე: თენგიზ სამსონაძის ნამუშევრები.

ჰარიზი

მოდების საცხაცხო ქალაქი

გასული წლის სექტემბერში პარიზის სახელგანთქმულმა მოდების სახლებმა, ჩვეულებისამებრ, მომავალი წლის ახალი კოლექციები წარმოადგინეს. კვლავინდებურად წარმატებით გამოვიდნენ ფრანგული მოდის საუკეთესო წარმომადგენლების — ჩვენში კარგად ცნობილი გაბრიელ შანელისა და კრისტიან დიორის ფირმები.

გაბრიელ შანელი ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში პარიზის მაღალი კლასის მოდის „ოტ-კუტიურეს" ერთ-ერთი ლიდერი გახდა და თავისი უზადო გემოვნებისა და უაღრესად პრაქტიკული ნიჭის წყალობით ეს წოდება მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა (გარდაიცვალა 87 წლის ასაკში). მას მეოცე საუკუნის ჩაცმულობის რეფორმატორსაც უწოდებენ, რადგან ფრანგულ მოდაში სისადავე შეიტანა. მის მიერ დამკვიდრებული ბევრი სიახლე ჩაცმულობაში დღემდე არ გამოდის მოდიდან. იგი სასიამოვნო გარეგნობისა იყო და ხშირად თვითონვე გამოდიოდა საკუთარი იდეებისა და მოდელების გამავრცელებლად. გაბრიელ შანელმა პირველმა უარყო კორსეტი, ჩაიცვა შარვალი და ნაქსოვი პულოვერი-სვიტერი. მანვე პირველმა გამოიყენა ტანსაცმელში ტრიკოტაჟი და იაფფასიანი სამკაულები (ხელოვნური მარგალიტი, ძეწკვი და სხვა), მოკლედ შეიჭრა თმა და მზით გარუჯული გამოჩნდა საზოგადოებაში.

შანელი არასდროს არავის ჰბაძავდა, მაგრამ ასევე შეუძლებელი იყო მისი მიბაძვაც, რადგან საკუთარი მოდელები მკაფიოდ გამოხატული სტილითა და ხასიათით გამოირჩეოდა. მისთვის არასდროს უღალატია გემოვნებას.

მაინც რა არის ყველაზე ნიშანდობლივი შანელის კოსტიუმებისათვის?

უპირველესად ყოვლისა, ანსამბლურობა. იგი ყოველთვის რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ყველა მოდელი, როგორც წესი, განყობილია კანტით, ღილებითა და ჯიბეებით. სამკაულად უმეტესად იყენებს ხელოვნური მარგალიტის ყელსაბამს, ძეწკვს და სხვადასხვა ფორმისა და ზომის დეკორატიულ ბალთასა და ქინძისთავს, რაც ანსამბლს დასრულებულ სახეს აძლევს.

— მოდურად ჩაცმა იოლია, კარგად ჩაცმა კი რთული. იყო კარგად ჩაცმული — ეს გონების გამარჯვებაა გრძნობაზე. — ხშირად იმეორებდა იგი.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე გამოჩენილი ფრანგი მოდელიორი კრისტიან დიორი, რომელმაც მხოლოდ 10 წელი უხელმძღვანელა ფირმას, მაგრამ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მადლიერმა ფრანგმა ხალხმა ნიშნად ღრმა პატივისცემისა, მონტეინის ქუჩაზე, იქ სადაც ფირმა „დიორი" მდებარეობს, მისი სახელი ამოკვეთა. კრისტიან დიორი ფლობდა ფრანგული სკოლის ყველა კარგ ტრადიციას. მისი ყველაზე უბრალო კაბაც კი ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენს. დიორმა პირველი კოლექცია 1947 წელს უჩვენა პარიზის საზოგადოებას.

ეს წარმატება შემთხვევითი არ იყო. ნიჭიერმა მხატვარმა უტყუარი ალღოთი შეიცნო დრო, მისი ეკონომიკური შესაძლებლობანი, მკაცრი, ერთფეროვანი, ომისდროინდელი ცხოვრებით დაღლილი ხალხის სწრაფვა სილამაზისა და ფუფუნებისაკენ. მან ქალის კაბას ქალურობა დაუბრუნა. ომისდროინდელი მოკლე კაბების გოლიათურ მხრებს სამხრეები მოხსნა, ქვედა ბოლო ირიბი თარგით გააგანიერა და კაბა 25 სანტიმეტრით დაგრძელა. მსოფლიოს ახალი მოდა აღიარა და ხალისით მიიღო. დიორი გარდაიცვალა 1958 წელს, მაგრამ მის სახელს არც სიკვდილის შემდეგ მოჰკლებია პატივი და დიდება. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მისი ნამუშევრები გამოფენილია ლუვრში — სახვითი ხელოვნების უდიდესი შედევრების გვერდით.

ფირმები „დიორი" და „შანელი" სიცოცხლეს განაგრძობენ...

ლელი ხვედელიძე,

ჟურნალ „მოდას" რედაქტორი.
პარიზი, სექტემბერი, 1987 წ.

გადაეცა წარმოებას 15. 01. 88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.02.88. უე 09241 ქაღალდის ზომა 70×108[1]/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.400 შეკვეთა 91. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

6 83/59

ჟურნალ „ლილას“ ყდა

შემოდგომა სოფელში



„მერიკაობა“
ესკიზი გობელენისათვის

ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაციები.